„თვითმმართველობა ულტიმატუმია ხალხის ყოველდღიურობის საქმეებისა. საცა ულტიმატუმი, იქი ყველაფერი სერიოზულია... ყოველი ხელისშეწყობა, რომელიც ეხმარება ადგილობრივ ხელისუფალს, ხალხი-ხალხისადმი ანის ყველაფერი, რომ მოვდა ყველა ინტერესებსა ადგილები იყოს.“

ხობის მოამბე

№20-21 (7056) 16 ნოემბერი,
ორშაბათი, 2015 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

23 ნოემბერს, მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმინდა გიორგის თაყვანისცემა საქართველოში მე-4 საუკუნის დასაწყისში იწყება. ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებენ.საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის ცნობით,წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო.სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე, ბოდბეში წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე უამრავი ტაძარია აგებული. წმინდა გიორგი მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად ითვლება. ასევე, მას ევედრებიან დემონური ძალებისგან გამოხსნას. წმინდა გიორგი ქართველთა მფარველად ითვლება. უფლის განგებით, ქართველი ერის მფარველობა მას დაეკისრა. სწორედ ამიტომ, წმინდა გიორგის იაკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო“.

1 ნოემბერს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წლიური ანგარიშით წარსდგნენ და მათ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე, პროგრამებსა და სამომავლო გეგმებზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრის დასასრულს გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ამომრჩევლებსა და დამსწრე საზოგადოებას პირობა მისცეს, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიშების სრულ ვერსიას.

გვ. 3-11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

10 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“. რომლის თანახმადაც მომზადდა მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა და შედგა ტრენინგ-საჭიროებათა განსაზღვრისათვის განკუთვნილი მონაცემთა ბაზები, რომელიც წარმოადგენს მოხელეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების ძირითად დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების პრიორიტეტული მიმართულებები: მოხელეთა რაოდენობა, აგრეთვე სწავლების ორგანიზების სხვა ძირითადი საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

№66 ხობის (№66.06 გურიფულის თემი) 31 ოქტომბერს გამართული საკრებულოს შუალედური არჩევნების შემაჯამებელი ოქმი



№ 66.06 ... 0004

1	ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში	822
2	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში	445
3	მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	750
8	ბათილად ნაცნობი	15
41	ფალიერი გელანტია	738
4	ნამყოფი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	743
5	ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	12

№	საარჩევნო უბანი	ამომრჩეველთა ხელმოწერა	ბათილად ცნობილი ყენჭის ფურცლების	ბათილად ცნობილი ყენჭის ფურცლის შედეგები

№			

„სიმართლის გზას არასოდეს გადავუხვევ და პრინციპს–ვიყო ჩვენი ხალხის ერთგული, ბოლომდე ვუერთგულებ...“



31 ოქტომბერს, ხობის საკრებულოს შუალედური არჩევნები, გურიფულის თემში გაიმართა. არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა მელორ გელანტიას, რომელიც წარმოდგენს ბლოკ „ქართულ ოცნებას“. გთავაზობთ ინტერვიუს უკვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ბატონ მელორ გელანტიასთან.

ბატონო მელორ, ორიოდე სიტყვით თქვენს შესახებ?

–ახალი აბა რა უნდა ვთქვა, ვარ ერთი უბრალო ადამიანი, როგორსაც მიცნობს საზოგადოება, ჩემი სოფელი და მუნციპალიტეტი. აღვიზარდე მეტად ტრადიციულ ოჯახში და მთელი შეგნებული ცხოვრება პატიოსნად და ღირსეულად ვიცხოვრე. შური, ბოროტება და ცუდი რამ გულში არასოდეს გამივლია, სხვათა ჭირი და პრობლემები უყურადღებოდ არასდროს დამიტოვებია. ჩემი ბიოგრაფიის ყველაზე ლამაზი და კარგი პერიოდი ზვიად გამსახურდიას იდეებისათვის ბრძოლას უკავშირდება. მქონდა ბედნიერება, მონაწილე ვყოფილვიყავი იმ საერთო სიხარულისა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით მივაღწიეთ. ამის შემდგომ რაც მოხდა, ამაზე ყურადღებას არ გავამახვილებ... მთავარია- იმედი უკეთესი მომავლისა და ერთიან საქართველოზე ოცნება გამყვება სიკვდილის ბოლომდე.

საკრებულოს შუალედურ არჩევნებში წარმატება მოიპოვეთ და გახდით საკრებულოს დეპუტატი, რატომ გსურდათ საკრებულოში მოხვედრა?

–ხობის მუნიცპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობა ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა. იმ ენით აუწერელი ტრაგედიის შემდეგ, რაც თავს დაატ-

2

1

ყდა ჩემს ოჯახს, როცა ჩემი ურწმესი ვაჟი-ხუტუნა დავკარგე... სიცოცხლეც დასრულებული მეგონა... მაგრამ სწორედ იმ ტრაგედიის დღეებში ჩემთან მოვიდნენ ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანები, და-ძმა ლაშა და ნანა გვასალიები და მითხრეს ბატონი ლაშას სამხარეო ადმინისტრაციის უფროსად გადაყვანის თაობაზე. ამრიგად საკრებულოში ჩვენი თემიდან დეპუტატის ადგილი ვაკანტური ხდებოდა. დამარწმუნეს, რომ აუცილებლად უნდა მეყარა კენჭი და ბედი მეცადა. როცა საკუთარ ფიქრებთან მარტო დავრჩი და ბევრი რამ გავაანალიზე, ჩემს თავში ძალა ვიპოვე და მომავალსაც იმედით შევხედე...

რაში მდგომარეობდა თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა და რის გაკეთებას პირდებით სოფლის მოსახლეობას, რომლებმაც ნდობა გამოგიცხადეს?

–კარგად მოგეხსენებათ, ერთი დეპუტატი „სოფელს ვერ ააშენებს“, თუ მის უკან არ დგას ძლიერი გუნდი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს ხალხის და ქვეყნის სამომავლოდ. მე უდიდესი პასუხისმგებლობა მენიჭება თუნდაც იმიტომ, რომ უნდა დავიკავო ის ადგილი, რომელიც ეკავა უნიჭიერეს ადამიანს, დიდი გამოცდილების მქონე ლაშა გვასალიას. მაგრამ მერწმუნეთ, რომ სიმართლის გზას არასოდეს გადავუხვევ და პრინციპს–ვიყო ჩვენი ხალხის ერთგული, ბოლომდე ვუერთგულებ. რაც შეეხება პროგრამას, ეს საყოველთაოდაა ცნობილი, ჩვენს ხელისუფლებას აქვს ერთიანი მიმართულება პრობლემების დაძლევისა და ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი ღონისძიებები ქართველი გლეხის, ქართული ოჯახების გაძლიერებისა. დაწყებულია სოფლის მეურნეობის განვითარების, სოციალური და უნიკალური ჯანდაცვის პროგრამით და ა.შ. მთავარი საერთო სახელმწიფოებრივად კეთილგამიზნული აღმასვლაა, ხოლო გზები, ნაპირსამაგრი სამუშაობი და სხვა „წვრილმანი“ უფრო ადვილად და მალე გვექნება, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია.

ბატონო მელორ, თქვენ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენთ, როგორ ფიქრობთ, თქვენი გამარჯვების ფაქტორი ეს ხომ არ იყო?

–„ქართული ოცნება“ არამარტო ჩემი გამარჯვების, არამედ ქვეყნის გამარჯვების გარანტია. რომ არა ასეთი გუნდი და ძალა, არც ვიქნებოდი ამ გზაზე, რამეთუ მოსვლა, მოსვლისათვის არ უნდა იყოს, მოსვლას შენი კეთილი კვალის დატოვებაც უნდა მოყვეს, ჩვენი ხელისუფლება კი ამის მაგალითია...

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს გურიფულელებს, ყველას, ვინც მენდო და მხარდაჭერა გამომიცხადა, მათაც ვუხდი მადლობას, ვინც ჩემი ოპონენტის მხარეს იდგა. ჩვენ ვართ ერთნი, ერთი სოფლის შვილები, დასასრულიც ერთად შეგვკრავს იმ საუფლოში, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ და გვიყვარდეს ერთმანეთი.

ვსარგებლობ შემთხვევით და უღრმეს მადლობას ვუხდი ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას და „ქართულ ოცნებას“ იმ დიდი ნდობისა და სიყვარულისთვის, რომელიც მათ ჩემს მიმართ გამოიჩინეს.

ესაუბრა ნინო გერგაია

ევროპარლამენტის მომხსენებელი ანდრეს მამიკინსი აცხადებს, რომ დიდი ალბათობით, საქართველო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას 2016 წელს მიიღებს

ამის შესახებ ევროპარლამენტის მომხსენებელმა ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ინტერნეტგამოცემასთან ინტერვიუში ისაუბრა. მამიკინსი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი არასამართლიანად მოექცა საქართველოს, როცა გასულ წელს მხოლოდ მოლდოვასთან შემოიღო უვიზო რეჟიმი.

მოსალოდნელია ევროკომისიის ძალიან დადებითი მოხსენება, რომელიც ამ წლის ბოლომდე იქნება გაჟღერებული. 99%-ით შესაძლებელია ითქვას, რომ უვიზო რეჟიმი მომავალი წლისთვის იქნება შემოღებული“,–განაცხადა ევროდეპუტატმა.

მისი თქმით, ის, რომ გასულ წელს მოლდოვამ მიიღო უვიზო მიმოსვლა, ხოლო საქართველომ ვერა, იყო ერთგვარი არასამართლიანობა, რადგან ეს ორი ქვეყანა თანაბარია როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის კუთხით, ასევე ტერიტორიული პრობლემების და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით.

მომხსენებლის თქმით, მოლდოვამ უვიზო რეჟიმი ძლიერი რუმინული ლობის მეშვეობით მიიღო და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოლდოვის მილიონზე მეტ მოქალაქეს ასევე რუმინეთის მოქალაქეობა აქვს და თავისუფლად შეუძლიათ ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილება.

მამიკინსმა აღნიშნა, რომ საქართველო იმ სამ ახალ ასოცირებულ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც აბსოლუტური ლიდერები არიან ჰარმონიზებული კანონების თვალსაზრისით და ასევე იმ პროექტების რაოდენობით, რომელთა რეალიზებაც საქართველოს ტერიტორიაზე ხდება.

ჩვენ ვიცით რამდენად აუცილებელია უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოს საზოგადოებისთვის, რამდენად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ამას და რამდენად სამართლიანად განაწყენდა იმის გამო, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის და ასოცირებული ქვეყნების წარჩინებულმა წარმომადგენელმა, მოლდოვისგან განსხვავებით, ვერ მიიღო უვიზო მიმოსვლა“,–აცხადებს მამკინსი.

მომხსენებლის თქმით, საქართველო საუკეთესოდ მოემზადა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმისთვის და მოხსენების პრეზენტაციის შემდეგ, სავარაუდოდ, მიიღებს უვიზო მიმოსვლას.

შესაძლებელია, იყოს რაიმე სიმბოლური კენჭისყრა ევროპარლამენტში. რთული არაა წინასწარ განსაზღვრო, რომ ევროპარლამენტარების უმეტესობა მხარს დაუჭერენ, რადგან ერთი წლის წინ მათ მხარი დაუჭირეს საქართველოს ასოცირებულ წევრობას. მთავარი გადაწყვეტილებას, რაც შეეხება უვიზო რეჟიმის შემოღებას სხვა ასოცირებული წევრებისთვის, მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ნაკლებად სავარაუდოა 2016 წელს უკრაინამ და თურქეთმა მიაღწიონ ვიზალიბერალიზაციის პროცესს.

საქართველო იქნება პასუხისმგებლიანი პარტნიორი ევროპისთვის ვიზალიბერალიზაციის კუთხით“

საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველომ გაწია უდიდესი სამუშაო ვიზალიბერალიზაციის მხრივ საშინაო დავალების შესრულების კუთხით.

მინისტრის თქმით, პრაქტიკულად ყველა მუხლი ტექნიკურ დავალებათა ჩამონათვალში არის შესრულებული.

საქართველომ გაწია უდიდესი სამუშაო საშინაო დავალების შესრულების კუთხით, პრაქტიკულად ყველა მუხლი ტექნიკურ დავალებათა ჩამონათვალში არის შესრულებული. ხშირ შემთხვევაში ჩვენ გავცდით კიდეც იმ ჩარჩოებს, რომელიც მოცემული გვქონდა სავალდებულო ჩარჩოები მაქვს მხედველობაში. მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს იმისა, რომ რაიმე ტექნიკური ხარვეზი იქნას აღმოჩენილი ტექნიკურ დავალებათა ჩამონათვალში. ასე, რომ ჩვენ დიდი მოლოდინი გვაქვს, რომ ანგარიში, რომელიც უნდა იქნას გამოქვეყნებული დეკემბრის შუა რიცხვებში, იქნება დადებითი. რაც შეეხება ამის შემდეგ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან, რომ საქართველოსთვის გახსნილი იქნას ვიზალიბერალიზაციის საკითხი, ანუ საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ ვიზის გარეშე იმოგზაურონ ევროპის ტერიტორიაზე, აქაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკმაოდ დადებითი პერსპექტივაა და მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო გუშინდელ ვიზიტს, ქალბატონი ფედერიკა მოგერინის, მის განცხადებებს ამ თემაზე, რომ საქართველომ ნამდვილად ძალიან დიდ პროგრესს მიაღწია და დიდი ალბათობით ჩვენ პოზიტიურ ახალ ამბებს უნდა ველოდოთ. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ მთავრობის ყველა სტრუქტურა ევროპულ სახელმწიფოებთან ორმხრივ რეჟიმში, რათა მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ მათ, ჩვენს მიერ განხორციელებული რეფორმების თაობაზე და განვუმარტოთ მათ მაქსიმალურად, რომ რისკები ამ მიმართულებით საქართველოს მხრიდან არ არსებობს. საქართველო იქნება პასუხისმგებლიანი პარტნიორი ევროპისათვის ვიზალიბერალიზაციის კუთხით“,–განაცხადა კვირიკაშვილმა.

დავით სერგეენკო იმ პოლიტიკოსთა შორის მოხვდა, რომლებმაც ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის გადარჩენა შეძლეს

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს მიერ დაზარალებულისთვის აღმოჩენილ პირველადი დახმარების ფაქტს იხსენებს. „არგუმენტები და ფაქტები“ სტატიაში - „ისტორიები პოლიტიკოსებზე, რომლებმაც პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს“, იმ პოლიტიკოსების შესახებ ფაქტებს აქვეყნებს, რომელთაც ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის გადარჩენა მოუხდათ.

„არგუმენტები და ფაქტები“ სტატიის მიხედვით, ურუგვაის პრეზიდენტმა ტაბარე ვასკესმა სიკვდილს გადაარჩინა ალერგიის მსხვერპლი, ახალგაზრდა ქალი საფრანგეთიდან. 26 ოქტომბერს პრეზიდენტი ტრანსატლანტიკური რეისით მიემგზავრებოდა საფრანგეთში, სადაც მას მოლაპარაკებებში უნდა მიეღო მონაწილეობა. იმავე რეისით 17 წლის ფრანგი გოგონა შინ ბრუნდებოდა ბუენოს-აირესიდან, სადაც ჰოკეის ტურნირში მონაწილეობდა.

ფრენის დროს გოგონამ საუზმე მიირთვა, რომელიც არაქისს შეიცავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მას ძლიერი ალერგიული რეაქცია დაეწყო და სუნთქვა შეწყვიტა.

დაზარალებულთან პირველები პრეზიდენტი ვასკესი და მისი პირადი ექიმი მარიო სელარაიანი მივიდნენ. ოპერატიულად მიღებული ზომების წყალობით გოგონას მდგომარეობა სტაბილური გახდა.

სტატიის ცნობით, 75 წლის ტაბარე ვასკესი პროფესიით ექიმია. ურუგვაის პრეზიდენტს ავიაგადაფრენების დროს პროფესიული უნარების გამოყენება მესამედ დასჭირდა.

სტატიაში ასევე მოთხრობილია საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს შესახებ, რომელმაც უსახლკარო ჰალსტუხის მეშვეობით გადაარჩინა. სტატიაში ნათქვამია, რომ 2013 წელს ექსტრემალურ სიტუაციაში თავისი ქმედითუნარიანობის დამტკიცება მოუწია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს. მინისტრი ავიაშოუზე მიემგზავრებოდა, როცა თბილისის ცენტრში მდებარე გამზირზე მოწმე გახდა, თუ როგორ დაეჯახა ავტომანქანა ნასვამ ფეხით მოსიარულეს. მინისტრის რეაქცია მყისიერი იყო. მან გააჩერა ავტომანქანა, დაუყოვნებლივ გაეშურა დაზარალებულისკენ და პირველი დახმარება აღმოუჩინა. ადგილზე მისულმა „სასწრაფო დახმარებამ“ დაშავებული წაიყვანა, რომელიც უსახლკარო დენის ახმედოვი აღმოჩნდა.

„ექიმებმა ნახეს, რომ ვიღაცამ სწორად შეაჩერა სისხლდენა ფეხზე და გადასახვევ მასალად ჰალსტუხი გამოიყენა. იმის შესახებ, რომ პირველადი დახმარება დაზარალებულს მინისტრმა აღმოუჩინა, “სასწრაფო დახმარების” ექიმებმა მოგვიანებით შეიტყვეს. დაზარალებულს წარმატებული ოპერაცია გაუკეთეს და მისი სიცოცხლე გადაარჩინეს. ხოლო პრესტიჟული მარკის დიზაინერული ჰალსტუხი, რომელიც ქართველ ჯანდაცვის მინისტრს არ დანანებია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ჩარჩოში მოათავსეს და თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში საპატიო ადგილზე განათავსეს“,–აღნიშნულია სტატიაში.

ის სტატიაში ასევე საუბარია ჰოლივუდის ვარსკვლავ არნოლდ შვარცენეგერზეც, რომელმაც თავისი კინემატოგრაფიული კარიერის მანძილზე ადამიანები ასეულობით შემთხვევაში გადაარჩინა. პოლიტიკაში გადასვლის შემდეგ, როდესაც კალიფორნიის გუბერნატორი გახდა, მან დაამტკიცა, რომ რეალურ ცხოვრებაშიც მზად არის გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს დაეხმაროს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ანგარიში განვლილი ერთი წლის მანძილზე გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდგომ, ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცა ფართო უფლებამოსილებები მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელ საქმიანობებთან დაკავშირებით. ახალ და გაზრდილ უფლებამოსილებებთან ერთად, ასევე დადგინდა პასუხისმგებლობა და ვალდებულება არჩევითი ორგანოებისა და ამ ორგანოების წევრთა მხრიდან მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების შესახებ.

დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც პირველი საჯარო შეხვედრაა იმ არაოფიციალურ და სისტემატურ შეხვედრებს შორის, სადაც გამგებელი ამომრჩეველთა ფართო სპექტრს წარუდგენს ანგარიშს გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა მართებს, რათა ადგილობრივ დონეზე ეფექტურად, კომპეტენტურად და ოპერატიულად მოაგვაროს ისეთი სახის საკითხები, რომლებიც საზოგადოებისთვის პირველი რიგის ინტერესებს წარმოადგენენ.

მშენებარე ზეთისქარხანა

ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა განვლილი ერთი წლის განმავლობაში, რაც მუდმივად და მზარდად აისახება მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

გაწეული საქმიანობის ეფექტურობაში თანაბარი წვლილი მიუძღვის გამგეობის თითოეულ სამსახურს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ასრულებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს.

2014 წლის 1 აგვისტოდან, ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შემდგომ, გამგეობის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა 10 სამსახური. ესენია:

1. ადმინისტრაციული სამსახური;
2. საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური;
3. ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური;
4. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;
5. სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;
6. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
7. შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;
8. წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური.
9. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური.
10. შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2015 წლის 10 იანვრიდან გამგეობას გამოეყო სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის–საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ხობის სახანძრო-სამაშველო განყოფილების სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური ერთ-ერთი მაღალორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფი იყო რეგიონის მუნიციპალიტეტების სახანძრო-სამაშველო ქვედანაყოფებს შორის. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით მსურს მადლობა გამოვუცხადო გამგეობის ყოფილი სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის ყველა თანამშრომელს ათწლეულების განმავლობაში გაწეული ერთობლივი და ნაყოფიერი სამსახურისთვის და წარმატებები ვუსურვო მათ და ხობის სახანძრო-სამაშველო განყოფილებას, მის თითოეულ მოსამსახურეს მოსახლეობის უსაფრთხოების სადარაჯოზე სამსახურისთვის.

გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით წარმოგიდგენთ, როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისთვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს:

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლის მოცულობითაც იგი წლების განმავლობაში გამორჩეული იყო სხვა მუნიციპალიტეტებისგან.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ყველა საჭირო დანართებით წარდგენილიქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტზე შედგა განწერა კვარტალებისა და თვეების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც, ასევე მომზადდა და დამტკიცდა ადგილობრივი შესყიდვების გეგმა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა გეგმიურად ხორციელდება.

2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში დამტკიცდა 6424200 ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში-6433900 ლარის ოდენობით.

2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 10239100 ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 10275600 ლარი. შემოსულობებიდან 5559700 ლარი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 220,0 ათასი ლარი, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერი–1551800 ლარი. 3787900 ლარი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებია, რომლის ფარგლებშიც 841,0 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილ ტრანსფერს წარმოადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების დიდი ნაწილი ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისთვის მიიმართა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

საბიუჯეტო სახსრების მიმართვა შესაბამისი სფეროების მიხედვით და გამგეობის საქმიანობის ეფექტურობა უნდა განვიხილოთ შესაბამისი სამსახურების მხრიდან ამ სფეროებში გაწეული საქმიანობით:

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მეშვეობით. სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას. ამ მიზნით საჭირო ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, სატრანსპორტო რეგულირების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და სხვა სახის ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების გატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აუთვისებელი ქონების ინვენტარიზაცია. აღიწერა სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, მუნიციპალური დანიშნულების მიწის ფართობები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. აღსანიშნავია, რომ

4

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

4

შ.პ.ს. „ფიგაროო“, პლასტმასის ნაკეთობათა საწარმო

მომზადდა წინადადება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და მიმდინარე პერიოდისთვის დაუტვირთავი ქონებიდან მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა კინოთეატრი „თუთარჩელა“, რის შემდეგაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მისი ფუნქციური დატვირთვისთვის სათანადო სამუშაოების განსახორციელებლად. ამ თემას ჩვენ ამავე ანგარიშში კვლავ შევეხებით.

2015 წლის 10 თვის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების გაიჯარებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 30500 ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაიჯარებიდან–2000 ლარი. კონტროლდება დასუფთავების მოსაკრებლების გეგმის შესრულების საკითხი. დასუფთავების მოსაკრებლებიდან შემოსულია 28900 ლარი რაც უკვე წლიური გეგმის 77%-ს შეადგენს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 128000 ლარი, ნაცვლად 115000 ლარისა, სანებართვო მოსაკრებელმა 40000 ლარი შეადგინა, ნაცვლად 6000 ლარისა.

ადგილობრივი ხელისუფლების ერთერთი მიზანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელსაყრელი და მიმზიდველი ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნაა, რაც ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველი უნდა გახდეს.

ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი აქტივობები შეინიშნება. ჩამოვთვლით მხოლოდ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ინვესტიციებს:

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მიერ შესყიდულ იქნა 200 ჰა მიწის ნაკვეთი სოფლის მეურნეობის, კერძოდ დაფნის პლანტაციის გასაშენებლად. ინვესტიციის მთლიანმა მოცულობამ 1,5 მილიონი ლარი შეადგინა - დასაქმდება 60-მდე მუშახელი.

შპს „ფიგაროს“, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საკუთრებაში გადაეცა 2 ჰა მიწის ფართობი, სადაც მოეწყო პლასტმასის ნაკეთობათა ახალი საწარმო. ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 2,0 მილიონი ლარი შეადგინა–დასაქმდება 50-მდე მუშახელი.

შპს „კოლხას“ მიერ, პროგრამის „თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მიმღები ქარხანა შენდება. პროექტის ფარგლებში იხარჯება 2,4 მილიონი ლარი, პროექტს გარეთ კი - ასევე 2,4 მილიონი ლარი. IS სერთიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები დასაქმდება 50-მდე მუშახელი.

შპს „კოლხურის“ მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კომბინირებული საკვების საწარმო შენდება. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 2,2 მილიონ ლარს შეადგენს. დასაქმდება 30-მდე მუშახელი.

შპს „ხიბლის“ მიერ შეიქმნა თაბაშირმუყაოს და სამშენებლო მასალების საწარმო. ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 4,4 მილიონი ლარი შეადგინა –დასაქმდება 40-მდე მუშახელი.

შპს „კოლხეთი და კომპანიას“ მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, შეიქმნა კომპლექსი „კოლხური ნობათი“, რაც მოიცავს მეფრინველეობას, მეცხოველეობას, თანამედროვე სტანდარტების სასაკლაოს. ინერგება „HASP”-ის სტანდარტები, პროდუქტების მწარმოებელი საწარმო. ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 432,0 ათასი დოლარი შეადგინა–დასაქმდება 20-მდე მუშახელი. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მსგავსი კომპლექსის შექმნა ზონებრივად, 3 ზონაში, ხოლო მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში–ეტაპობრივად თითო საწარმოს გახსნა მაინც.

შპს „შამათიას“ მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა „EMPARDI“-ის ხელშეწყობით შეიქმნა სასათბურე მეურნეობა. ინვესტიციების საერთო მოცულობამ 96,0 ათასი ლარი შეადგინა–დასაქმდება 15-მდე მუშახელი.

შპს „Georgian Product Renaissance” მიერ, ქ. ხობში შეიქმნა თხილის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის საინვესტიციო ღირებულებამ 690,0 ათასი ლარი შეადგინა–დასაქმდება 40-მდე მუშახელი.

შპს „რუკა მაპინგის“ მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საჯიჯაოში, 2016 წლისთვის დაგეგმილია თხილის ქარხნის მშენებლობა წელიწადში 1000 ტონა თხილის გადამუშავების წარმადობით. ინვესტიციის მოცულობა 1,2 მილიონი ლარია - დასაქმდება 75-მდე მუშახელი.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაწყებულია და მიმდინარეობს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 50-ზე მეტმა პროექტმა გადალახა პირველი ეტაპი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის თანამშრომლების მიერ მცირე მეწარმეებს გაეწიათ საკონსულტაციო და პრაქტიკული დახმარება. გრანტის მოსაპოვებლად საჭირო ბიზნესგეგმისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი მიმართულებაა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რის საფუძველზეც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად არის ყურადღება გამახვილებული მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობა წარმატებულად იქნა აღიარებული არამარტო რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ სფეროში გამგეობის სამსახურებიდან ძირითადი დატვირთვა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ, გამგეობის სხვა სამსახურებთან ერთად კოორდინირებული საქმიანობით დაიგეგმა და 2015 წელს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა, ან ხორციელდება 4452789 ათასი ლარის კაპიტალური სამუშაოები, მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა, ან მიმდინარე პერიოდისთვის ხორციელდება 2542079 ათასი ლარის მოცულობის შემდეგი სამუშაოები:

1. ხეთა-თორსის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია–530000 ლარის მოცულობით;

2. ხობის №2 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები–311645 ლარის მოცულობით;

3. ქ. ხობში ვაჟა ფშაველას, თავისუფლების, სულხან-საბას, წერეთლის, ბარათაშვილისა და გორგასალის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები–1010000 ლარის მოცულობით;

4. ხობის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნა (ქ. ხობის კულტურის სახლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი)–240000 ლარის მოცულობით;

5. ქ. ხობში ჭყონდიდელის ქუჩაზე 60 ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია–75935 ლარის მოცულობით;

6. ბიის წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები –129499 ლარის მოცულობით;

გარდა ჩამოთვლილისა, ასევე დაწყებულია ქ. ხობში მირცხულავასა და სამეგრელოს ქუჩების მოასფალტების სამუშაოები–245000 ლარის მოცულობით;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს, მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გამოყოფილიქნა 840964 ლარი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში უკვე სრულად არის დასრულებული დაგეგმილი სამუშაოები, რომელთა ფაქტიურმა ღირებულებამ მიმდინარე პერიოდისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად 764286 ლარი შეადგინა. რეაბილიტირებულია 46 ობიექტი, მათ შორის:

1. ხეთისა და პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის აღდგენის სამუშაოები–16015 ლარის ღირებულებით;

2. ზემო ქვალონის, ნოჯიხევის, ქარიატის, ქვემო ქვალონისა და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები–53693 ლარის ღირებულებით;

3. ახალსოფლის, ზემო ქვალონის, თორსა-დღვაბის, პატარა ფოთის, შავღელეს, საგვიჩიოს, საჯიჯაოს, ჭალადიდის, შუა ხორგისა და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები–218361 ლარის ღირებულებით;

4. ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები–8551 ლარის ღირებულებით;

5. ახალსოფლის, ახალი ხიბულის, ბიის, პირველი მაისის, ზემო ქვალონის, ნოჯიხევის, პირველი ხორგის, საჯიჯაოს, ქვემო ქვალონის, ძველი ხიბულის, ხამისკურისა და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები–408979 ლარის ღირებულებით;

6. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა სკვერებისა

5

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

5

და ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები–14875 ლარის ღირებულებით;

8. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები–7000 ლარის ღირებულებით;

9. გურიფულისა და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები–36812 ლარის ღირებულებით;

სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით მომზადდა სათანადო წინადადებები და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით გათვალისწინებულიქნა 934077 ლარის ღირებულებით 8 ობიექტის რეაბილიტაცია, რომელთაგან 6 უკვე დასრულებულია. გათვალისწინებულ ობიექტთა ნუსხაშია:

1. გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ხობზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომლისთვისაც 2015 წლისთვის გამოყოფილია 761376 ლარი, ხოლო 2016 წლისთვის–405158 ლარი;

2. პირველი მაისის, ბიის, ქარიატის, საჯიჯაოსა და ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები (8 ობიექტი), საერთო ღირებულებით–138624 ლარი;

3. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის (სეტყვა) შედეგად მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღსადგენი მასალების შესყიდვა–34077 ლარის ღირებულებით;

საკუთრივ 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით სამშენებლო-სარემონტო და სხვა მომსახურებებზე გამოყოფილია 104200 ლარი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები:

1. გზების მოვლა-შენახვა–30000 ლარის მოცულობით;

2. მინი სტადიონების მოვლა-შენახვა - 15000 ლარის მოცულობით;

3. ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები–8800 ლარის მოცულობით;

4. ქ. ხობში სტალინის ქუჩაზე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–2500 ლარის მოცულობით;

5. სოფელ ყულევში მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება - 15800 ლარის მოცულობით;

6. ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების მე-2 ეტაპი–32100 ლარის მოცულობით.

სამსახურის საქმიანობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ზედამხედველობითი ფუნქცია წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევათა აღმოფხვრისთვის სათანადო ღონისძიებები ტარდება. გაცემულია მშენებლობის 11 ნებართვა, შეთანხმებულია 41 სამშენებლო პროექტი. გაცემული ნებართვების შესაბამისად, ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 4 ობიექტი.

გარდა ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ისეთი სახისა და მნიშვნელობის პროექტები, რომელთა საშუალებით საზოგადოება ერთი-ორად უკეთ მიიღებს სარგებელს. აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ქ. ხობში მიმდინარე წყალმომარაგების მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ქალაქის მოსახლეობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი 24 საათიანი შეუფერხებელი წყალმომარაგებით. პროექტის ფარგლებში განახლდება სათავე ნაგებობები, ჭაბურღილები და გამოიცვლება ქალაქის ქსელის ამორტიზებული მილები. პროექტის ღირებულება 3500000 ლარია.

ვიცე პრემიერი 500-220 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ქვესადგურის მშენებლობაზე.

ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 5 კილომეტრიანი გზის მოასფალტება, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს ზუგდიდი-ნარაზენი-ძველი ხიბულა-ახალი ხიბულა-ზუბის მონაკვეთებს. გზასთან ერთად კეთდება 4 ახალი და რეაბილიტაცია უტარდება 3 ხიდბოგირს, რომელთაგან ერთ-ერთი 21 მეტრი სიგრძის სრულიად ახალი ხიდია. პროექტის ღირებულება 2246000 ლარია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სენაკი-ფოთის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის ქვალონი-ჭალადიდი-პატარა ფოთის მონაკვეთზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხორციელდება 20 კმ. მონაკვეთის გზის რეაბილიტაცია. სამუშაოთა ღირებულება 12,5 მილიონი ლარია.

მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და მისი შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსის“ მიერ, 500-220 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ქვესადგური და 220 და 500 კილოვოლტიანი ორჯაჭვა ხაზების მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის მიზანია 220 კილოვოლტიანი ქსელის იმედიანობის გაზრდა და დასავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია; ასევე ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება და გაზაფხულის წყალმეტობის პერიოდში საექსპორტო ელექტროენერგიის სიმძლავრეების უზრუნველყოფა. პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით 50 მილიონ ევროს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც ქვესადგურის მშენებლობისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იხარჯება 12 მილიონი ევრო.

ეკონომიკური პროფილით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით გამგეობაში ასევე მოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობ ორგანოს წარმოადგენს. უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისა და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას, აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირების დახმარების გაწევას პრობლემების გადაწყვეტაში.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული პოლიტიკა დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა მიმართული. ხელისუფლება სისტემატურად ახორციელებს ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომელმაც გლეხებს, ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის დარგში ჩართულ მეწარმეებს მეტი სტიმული უნდა მისცეს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2014 წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მიუხედავად რთული კლიმატური პირობებისა, საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით დასრულდა. სამსახურმა ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო 2015 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების პროცესში. პროექტის ფარგლებში 12024 ბენეფიციარმა მიიღო დახმარება. სულ ხობის მუნიციპალიტეტში მოიხნა 6498,0 ჰა მიწის ნაკვეთი, მომსახურების ღირებულებამ 1400000 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ მოსახლეობას ეწეოდა პრაქტიკული დახმარება საჭირო ტექნიკის მობილიზაციასა და შესაწამლი ნივთიერების მოძიებაში.

გამგებლის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დამუშავდა მონაცემები მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ დანიშნულებისა და საკუთრების ფორმების მითითებით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს სხვა ალტერნატიული გზებით დაზუსტებას. ასევე მოძიებულიქნა ინფორმაცია მოქმედი და ადრე ფუნქციონირებადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესახებ. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე შექმნილია 12 კოოპერატივი სასოფლო-სამეურნეო სტატუსით. მათ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეღავათიან ფასში მიიღეს მოტობლოკები და ხელით სათესი აგრეგატები.

მიმდინარეობდა დაკვირვება და კომპეტენციის ფარგლებში დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ვეტერინარულ ღონისძიებებზე (თურქულის, ჯილეხის საწინააღმდეგო აცრები) გროვდებოდა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით აცრილი საქონლის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 12000 ლარი ხელოვნური განაყოფიერების გზით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშთა განახლების უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში შეძენილიქნა საჭირო ინვენტარი და მასალები. პროექტი ამჟამად ფუნქციონირებს და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული სერვისით. პროექტი უზრუნველყოფს მომსახურებას თანადაფინანსების პრინციპით. ბენეფიციარს მომსახურების 140 ლარიდან გადასახდელი ექნება მხოლოდ 20 ლარი. ყველა დანარჩენი ხარჯი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

სოფლის მეურნეობის სფეროში ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი გადასაჭრელი საკითხების მოგვარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა სახელმწიფოს მიერ, რომელთა გადაწყვეტისათვის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არაერთი წინადადება იქნა დასმული. ბოლო წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებამ შპს „საქართველოს მელიორაცია“ მასშტაბური სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა და ადგილობრივ ფერმერებს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალება მიეცათ. პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში MD მაგისტრალურ არხზე ასევე მოხდა სატუმბი სადგურების №1 (6 ტუმბო) და №2 (3 ტუმბო) რეაბილიტაცია და აღნიშნულ 8350 გრძივი მეტრის არხზე ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულებამ 2,8 მილიონი ლარი შეადგინა.

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის

6

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

5

ღონისძიებებს, რასაც გამგეობა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს. სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული კულტურის, განათლების, კულტურული მემკვიდრეობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარების კონცეფციებისა და პროგრამების მომზადებას, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების მართვას, შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობების შექმნას.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნო ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულ იქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეთ საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ამ სფეროების ცალკეულ ობიექტებზე.

კულტურის სახლის შენობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, წლების განმავლობაში საჭიროებდა გადახურვას–აწვიმდა ოთახებს, რის გამოც შეუძლებელი იყო ნებისმიერი სახის შიდა რეკონსტრუქცია. მუნიციპალიტეტში შემუშავდა „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია კულტურის, სკოლისგარეშე და ხელოვნების სფეროში განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა ერთიან სივრცეში. ამ პროექტმა ექსპერტების მოწონება დაიმსახურა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან პროექტი დაფინანსდა 800 000 ლარით. პროექტის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და შენობა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, სრულად გადაიხურა, გამოიცვალა ელექტროსისტემა, რომელიც ავარიულ მდგომარეობაში იყო და უსაფრთოების გამო სახანძრო-სამაშველო სამსახურს შენობის დახურვის რამდენიმე დასკვნაც კი ჰქონდა დადებული. ასევე სრულად გამაგრდა ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი კულტურის სახლის ფასადის ბარელიეფი, რომლის სამაგრი სისტემა კოროზიისგან მთლიანად იყო ამორტიზირებული.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სახლში წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კულტურის სფეროში მუშაობა არ შეფერხებულა.

წლის განმავლობაში კულტურის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევა ფოლკლორის სახელმწიფო ეროვნული ცენტრის სასწავლო პროგრამით მომუშავე სკოლის ჩამოყალიბება

თამარ გვერდწითელი–ხობის „საპატიო მოქალაქე“

ხობში, რაც აქტიურად გაშუქდა პრესით და ტელევიზიით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსგავსი სკოლა პირველად შეიქმნა ჩვენს რეგიონში. დღეისთვის ამ სკოლაში ქალაქის და ასევე სხვადასხვა სოფლებიდან დაახლოებით 60 ბავშვი უფასოდ ეუფლება ხალხურ სიმღერას და ქართულ საეკლესიო გალობას. პროექტი სუბსიდირებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ასევე გატარდა საძიებო სამუშაოები სოფლებში მოღვაწე ადამიანთა აღმოჩენის მიმართულებით, რომლის შედეგად თავმოყრილია ასობით ფოლკლორული ნამუშევარი.

მნიშვნელოვნად არის აქცენტი გამახვილებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მასზე ზრუნვისკენ. გასული წლების მსგავსად, 2015 წელსაც, ძეგლთა დაცვის მიმართულებით გაწეულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი სურათი წარმოადგინა:

ჭიხუს პლატოს მიდამოებში აღმოჩენილია ელინისტური ხანის ნამოსახლარები;

ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები დაფიქსირდა ნოჯიხევში, ხობის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ-ში;

ხობის მონასტერთან, სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შუა საუკუნეების ნაგებობის საკმაოდ კარგად შენახული შენობა; ნოჯიხევში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის არტე-ფაქტები.

ხობის კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ფოთისა და ხობის ეპარქიას. გამოიცა წიგნი ხობის მუნიციპალიტეტის წარსულის შესახებ, რომლის ავტორია გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ისტორიკოსი გოგიტა ჩიტაია.

2014-2015 წლების მნიშვნელოვანი პროექტს წარმოადგენს წმინდა ილია მართლის პრემიის პოეზიისა და ხატმწერების, მხატვრების სტუმრობა ხობში.

პროექტი უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის კურთხევით მიმდინარეობს. ხობის მუნიციპალიტეტი პროექტის ოფიციალური პარტნიორია და ამ მნიშვნელოვანი ტრადიციის ჩამოყალიბებამ ხობი ბევრ ცნობილ ადამიანს დააახლოვა. ხობელ შემოქმედებს შესაძლებლობა ეძლევათ წარსდგნენ ფართო აუდიტორიის წინაშე.

არაერთი ღონისძიება ჩატარდა კულტურის სფეროში, ესენია: ცნობილი ქართველი მსახიობის მურმან ჯინორიას მონო სპექტაკლი; ანიმაციური ფილმების ფესტივალ „ექო-თოფუზის“ ფარგლებში, ვორკშოპი ნორჩ მხატვართა წრის მოსწავლეებთან; მოსწავლეთა სახლის ნორჩ ჟურნალისტთა, გამომეტყველებითი კითხვის წრის ლიტერატურული ღონისძიებები, გობელენისა და ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები, უნარშეზღუდული გოგონას მარიამ ადონიას მხარდასაჭერი საკონცერტო პროგრამა, რომელმაც კიდევ ერთხელ გააერთიანა ჩვენი საზოგადოება და შესანიშნავი კონცერტის ფარგლებში მის ანგარიშზე სოლიდური თანხა იქნა მობილიზებული.

ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“, სადაც პირველად მიიღეს მონაწილეობა

ხობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“

სამეგრელო-ზემო სვანეთის შემოქმედებითმა კოლექტივებმა, მოეწყო საგამოფენო კუთხეები. ცოტნეობის ფარგლებში ჩატარდა პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

წელს, ხობის საპატიო მოქალაქეობა“ მიენიჭა ისტორიკოს გოგიტა ჩიტაიას და მომღერალსა და ლოტბარს რეზო თოდუას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია VII საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“. ფესტივალის ორგანიზატორია განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო ფონდი „ხობი“ (დამფუძნებელი–ხობის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში გოდერძი ბუკია), ქართული საერთაშორისო სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორის ადმინისტრაცია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო. მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი მომღერალ თამარ გვერდწითელისა და ანსამბლ „რუსთავის“ შემოქმედებას მიეძღვნა, როგორც ყველა ფესტივალი, წლევანდელიც გამორჩეული იყო გამოცემებით, საინტერესო სტუმრებით და ახალი რეპერტუარით.

მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების სისტემით კეთილმოაწყო თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართული საკონფერენციო და საკონცერტო დარბაზის სახით, სადაც სწავლებას გადიან რამდენიმე სოფლის ბიბლიოთეკისა და კლუბის სპეციალისტები.

ხობელი მოსწავლეებისთვის 2960 ლარით დაფინანსდა პროექტი „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხობის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა.

ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა ჩვენს ქვეყანაში სპორტი. ჩვენი მუნიციპალიტეტი გამორჩეული იყო სპორტული ბიოგრაფიით, როგორც სპორტული ბაზებით ასევე სახელოვანი სპორტსმენებით.

2015 წელს მუნიციპალიტეტში მრავალი სპორტული ღონისძიება ჩატარდა ახალგაზრდებისა და მოსახლების ფართო მასების ჩაბმის მიზნით. აღსანიშნავია და უმთავრესი, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მხრივ ჩვენი მუნიციპალიტეტი განიცდის კრიზისს, არსებული სპორტული მოედნები არ შეესაბამება სტანდარტებს, ხოლო წვრთნები სხვადასხვა სახეობებში ტარდება საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებში.

ხობელი სპორტსმენებისთვის გამარჯვებები არ ყოფილა იშვიათი, მაგრამ შედეგი, რომელიც საანგარიშო პერიოდს ემთხვევა, როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე საამაყო და დასაფასებელია. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ხობელ სპორტსმენებს არაერთი მსოფლიო, ევროპის, საერთაშორისო თუ რესპუბლიკური ტურნირების მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მოპოვებული. 2015 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლეების საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების ნუგზარ წურწუმიას, ჯონი ხეცურიანის, ირაკლი ნაკაშიას, ნიკა ყორშიას და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორების თემურ გოგოხიას, გოგა პერტახიას, გიორგი სოსელიას შედეგები იყო.

მსოფლიო და ევროპის მაღალი ჯილდოები მოიპოვეს ხობელმა მკლავჭიდელებმა გოჩა სიჭინავამ და ანრი ბუკიამ.

სასიხარულოა, რომ ხობში აღზრდილმა სპორტსმენებმა გენადი კვიკვინიამ და ვილენ გაბრავამ კიდევ ერთხელ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

საქართველოს ჩემპიონატებზე და რეგიონალურ შეჯიბრებზე საპრიზო მაჩვენებლები ჰქონდათ მძლეოსნობის ჯგუფის მოსწავლეებს გრიგოლ ახალაიას და მარიამ შონიას. ჯგუფის წევრებისა და მწვრთნელების საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებზე მივლინება დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეებმა ლუკა შამუგიამ, გიორგი ლატარიამ, სანდრო ბუკიამ, ამირან შონიამ, რესპუბლიკურ და რეგიონალურ ტურნირებზე საპრიზო სარეიტინგო მაჩვენებლები მოი-

7

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

6

პოვეს. აქტიურად წარმართავენ მუშაობას ნორჩი მოკრივეები და მწვრთნელ-მასწავლებლები.

საინტერესო შედეგებს აღწევენ ბილიარდის ჯგუფის მოსწავლეები, რომელთა შორის აუცილებელია აღინიშნოს ლუკა ლოლუა და ბილიარდის ფედერაციის მიერ „ვუნდერკინდად“ აღიარებული სანდრო ჩიტაიას მნიშვნელოვანი შედეგები. 1999-2003 წლებში დაბადებულ ნორჩ მორაგბეთა 3 გუნდი დღევანდელი მონაცემებით წარმატებით ასპარეზობს საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ დასავლეთ საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა საფესტივალო ასაკების გუნდების შეჯიბრებებში. ღირსეული წარმატებები აქვთ ჭიდაობა-სამბოსა და ძიუდოს ჯგუფის სპორტსმენებს.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამგეობის შესაბამისი სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა მუნიციპალური ტურნირები. რომლის საერთო ღირებულებამ 14230 ლარი შეადგინა.

წარმატებულია საფეხბურთო წელი–ფეხბურთელები გადიან ინტენსიურ წვრთნებს. მიმდინარე პერიოდისთვის დამთავრდა პროექტი სპორტის მიმართულებით, რომლის მიხედვით გაერთიანდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა და საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“. გათვალისწინებულია ახალგაზრდული პროექტების განხორციელება, ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის შეიქმნება სათანადო პირობები. ასე, რომ მომავალ 2016 წელს, ჩვენ განახლებული, გაერთიანებული საფეხბურთო სტრატეგიით განვაგრძობთ მუშაობას. მით უფრო, რომ გვაქვს შესანიშნავი პერსპექტივა. ხობის ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონს უკვე გადაეცა 1500 სკამი და სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები დამატებით ფინანსდება 500000 ლარით, რასაც ათწლეულებია ელოდებიან ფეხბურთის მოყვარულები და სპორტსმენები.

საინტერესო პროექტი განხორციელდა ბავშვთა ფეხბურთში–სახალისო ფეხბურთის ფარგლებში გაიმართა ტურნირი, რომელშიც საჯარო სკოლის ორასმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. პროექტი საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და ხობის საზოგადოებისთვის საინტერესო სპორტული სანახაობა მოეწყო.

სწორედ ასეთი შედეგების არგუმენტით მუნიციპალიტეტმა მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ხობის მუნიციპალიტეტისთვის გადმოეცა კინოთეატრ „თუთარჩელას“ ყოფილი შენობა. წინადადებას აქტიურად დაუჭირა მხარი სახელმწიფო რწმუნებულმა–გუბერნატორმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ და შენობა საკუთრებაში გადმოეცა ხობის მუნიციპალიტეტს, პარალელურად მომზადდა საპროექტო წინადადება, რომლის თანახმად, ყოფილი კინოთეატრის შენობაში განთავსდება სავარჯიშო დარბაზები, შეიქმნება საკონფერენციო სივრცეები, კინო-დარბაზი, ბილიარდის, ჭადრაკის, სპორტის მრავალი სახეობისთვის სავარჯიშო ზონები. ხობი უმასპინძლებს რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებს.

ასევე მნიშვნელოვანი სიახლეებია განათლების სფეროშიც: 2015 წელი ჩვენ გამოვაცხადეთ „ბაღების წლად“. ეს არ იყო მხოლოდ პირობითი დამოკიდებულება. სწორად განისაზღვრა ბაღებში ექიმის აუცილებელი საჭიროება და მიღებულიქნა გადაწყვეტილება საბავშვო ბაღებს დამატებოდა ექიმ-პედიატრის შტატი. ექიმების კონსულტაციის შედეგად შემუშავდა სრულფასოვანი მენიუ, მოზარდისთვის აუცილებელი კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების გათვალისწინებით. საბავშვო ბაღების უმრავლესობა ახალი სამზარეულო მოწყობილობითა და ინვენტარით არის აღჭურვილი, თუმცა რამდენიმე ბაღში გამოსასწორებელია არსებული რთული სიტუაცია. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა კონკრეტულ ვადებს მოითხოვს და პრობლემები სირთულის მიხედვით ეწყობა და პრიორიტეტი ანალიზის შედეგად ენიჭება.

შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან

ალბათ, ვისაც გაქვთ შეხება ბაღებთან, თქვენი შვილების, შვილიშვილების გამო, დამეთანხმებით, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ უფასო გახადა ბავშვებისთვის საბავშვო ბაღები, არამედ სრული მობილიზებით დაიწყო ზრუნვა მათ უსაფრთხო გარემოზე. კვების სისტემას მუდმივად აკონტროლებს სურსათის ეროვნულ სააგენტო, სადეზინფექციო სამუშაოებს ყველა საბავშვო ბაღში ახორციელებს სადეზინფექციო ცენტრი.

მუნიციპალიტეტის 14 საბავშვო ბაღში რადიკალურად შეიცვალა ათწლეულების განმავლობაში არსებული მდგომარეობა. სტანდარტების შესაბამისად მოეწყო კვების ბლოკები, გარემონტდა საძინებელი ოთახები და სამზარეულო, გაფართოვდა სამეცადინო ოთახები, მოწესრიგდა სველი წერტილები, მოწესრიგდა წყლით მომარაგება, გადაიხურა შენობები, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, შემოიღობა ეზოები.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით არსებული მძიმე სურათი, რომელიც ხელს უშლიდა საბავშვო ბაღებში ბავშვებისთვის კომფორტულ გარემოში სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებს, რეალურად ბოლომდე აღმოიფხვრა, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ მნიშვნელოვნად ბევრი რამ გაკეთდა.

განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ ხობის №2 საბავშვო ბაღის სრულ რეაბილიტაციას, რასაც თქვენის ნებართვით მცირე შესავალს გავუკეთებ. ძალიან ბევრს არ სჯეროდა, რომ პროექტი რეალურად განხორციელდებოდა. ეს იყო ბაღი, სადაც ფანჯრები არ იღებოდა და ვერ იხურებოდა, ეს იყო შენობა, სადაც ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდათ ძილი და დასვენება ბავშვებს და შრომა აღმზრდელებს. თუმცა, არაჩვეულებრივი ღონისძიებებით მაინც ახარებდნენ მშობლებს. დღეს ჩვენ მათთან ერთად გვახარებს შედეგი, რაც 311645 ლარის დაფინანსებით არის სახეზე. ამ წარმატებულმა პროექტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თუ პრიორიტეტი სწორად იქნა შერჩეული, შედეგი აუცილებლად იქნება წარმატებული.

სრულიად მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის მშენებლობის საკითხის გადასაჭრელად. ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით და მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას უშუალო შუამდგომლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულება 4000000 ლარამდეა. სკოლის მშენებლობისთვის მიწის ახალი ნაკვეთის შესასყიდად საჭირო შეიქნა 42000 ლარი, რომლის ფარგლებშიც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გაღებულიქნა 23882 ლარი. პროექტის განხორციელების შედეგად, სეისმურად არამდგრადი და ამორტიზებული შენობის ნაცვლად ქვემო ქვალონში ამოქმედდება თანამედროვე სტანდარტებითა და ინფრასტრუქტურით მოწყობილი სკოლა.

ხობის №2 საბავშვო ბაღა-ბაღი

პირველი მაისის საბავშვო ბაღი

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას და შესაძლებლობის ფარგლებში მათთვის სათანადო დახმარების გაწევას. ამ კუთხით გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

სამსახური უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვას და დამტკიცებული პროგრამების განხორციელებას მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა, ვეტერანთა და ლტოლვილთა სოციალური დახმარების საკითხებში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფონდირებული სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულად, ეფექტურად და სრულყოფილად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტში ბოლო რამდენიმე წელია მუშავდება ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, რომელიც 2015 წელს 377350 ლარის მოცულობით დამტკიცდა, აქედან სოციალური პაკეტი –353950 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი–23400 ლარით.

სოციალური პაკეტიდან ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებულია 55000 ლარი, 1 ოქტომბრის მდგომარეობით 355 განმცხადებელზე გაცემულია 32190 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარებებზე გამოყოფილია 55000 ლარი, 58 ავადმყოფის განცხადების განხილვის შედეგად დაკმაყოფილდა 53 და გაიცა 50631 ლარის თანადაფინანსების საგარანტიო წერილი.

ახალშობილთა დახმარებაზე პროგრამით გათვალისწინებულია 450 ახალშობილის დახმარება თანხით 49000 ლარი. 1 ოქტომბრის მდგომარეობით 233 ახალშობილზე გაცემულია 34700 ლარი. პროგრამის ფარგლებში პირველ და მეორე ბავშვზე გათვალისწინებულია 100-100 ლარი, ხოლო მე-3 და შემდგომ ბავშვზე–თითოეულზე 300 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებულ მრავალშვილიანთა (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი) დახმარების სახით, სარვამარტოდ 70 პირზე გაიცა 10500 ლა-

8

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

7

რი.

დედ-მამით ობოლ 3 ბავშვზე, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გაიცა 450 ლარი.

ომის ვეტერანებისთვის გათვალისწინებული დახმარების ფარგლებში, საცხრამაისოდ 10 ვეტერანზე გაიცა 1500 ლარი.

უმწეოთა სასადილო ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ფუნქციონირების ფარგლებში დაფინანსდა 18765 ლარით, ხოლო შემდგომი ეტაპისთვის 6 თვის განმავლობაში ერთჯერად კვებაზე ტენდერით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გადარიცხულია 30 948 ლარი. პროექტის ფარგლებში დღეში 1-ჯერ უფასოდ იკვებება 120-მდე უმწეო კატეგორიის მოქალაქე.

სარვამარტოდ ასევე დაფინანსდა 100 წელს გადაცილებული 4 ქალბატონი, რომელთაც დახმარების სახით ჩაერიცხა 600 ლარი.

უმწეო კატეგორიის მოსახლეობისთვის პროგრამით გათვალისწინებულია წყლის საფასურის სუბსიდირება 6000 ლარის ოდენობით 90 ოჯახზე.

გარდაცვლილი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების სახით გახარჯულია 1500 ლარი 6 გარდაცვლილ ვეტერანზე, ასევე გარდაცვლილი დევნილის დაკრძალვის ხარჯი დაფინანსდა 800 ლარით, 8 გარდაცვლილი დევნილზე.

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ და დამეწყრილ ოჯახზე გამოყოფილია 30000 ლარი. ამ პროგრამით დახმარება

თაბაშირ-მუყაოს ქარხანა

გაეწია 11 დაზარალებულს, თანხით - 10772 ლარი.

უნდა გამოვყოთ ახალი პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2015 წელს და ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დანგრეული სახლების სარეაბილიტაციო დახმარებას. ამ მიზნებისთვის ერთჯერადი დახმარების სახით გამოყოფილია 40000 ლარი. 1 ოქტომბრის მონაცემით კომისიის მიერ შესწავლილია 15 ოჯახი, რომელთაც დახმარება გაეწიათ 24200 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო წლის დარჩენილ პერიოდში ასევე დაკმაყოფილდება 10-მდე ოჯახი.

წელს ჩერნობილის ტრაგედიის 17 დაზარალებულს, ჩერნობილის ტრაგედიის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადად გამოეყო 1700 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურად არის ჩასახლებული, ხოლო 2234 კერძო სექტორში ცხოვრობს. მათ ერთჯერადი და საოპერაციო და სხვა პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები ეძლევათ ისევე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის გათვალისწინებული.

2014 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტში დაფინანსდა ერთი ახალი ამბულატორია სოფელ შავღელეში, 2015 წლის სექტემბრიდან ამბულატორია ფუნქციონირებს და ათწლეულების განმავ-

თხილის ქარხანა

ლობაში შავღელეს მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემა ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მოგვარებულია.

მუნიციპალიტეტის მხრიდან ექსკლუზიური უფლებებით ხორციელდება ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამა, რომელიც შეიმუშავა სამსახურმა სოფლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ, მოსახლეობის რაოდენობით მიხედვით პატარა სოფლების მაცხოვრებლებს ეწევათ ექიმამდელი დახმარება, რისთვისაც თანადაფინანსების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 23400 ლარი.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება. რომელსაც ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2015 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 1998 წელს დაბადებულ იმ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომელთაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილიქნა მათთან მომუშავე (მოსწავლე) 1998 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით. თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე და სამხედრო სააღრიცხვო ბარათები სათანადო დოკუმენტაციის მოთავსებით. ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან გამოთხოვილ იქნა ცნობები საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახის შემადგენლობის შესახებ. საჯარო სკოლებიდან გამოთხოვილიქნა აღრიცხვაზე ასაყვანი ჭაბუკების ავტობიოგრაფიები, დახასიათება და ფოტოსურათები. პარალელურად შეიქმნა 1998 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანბანური წიგნი და მიწერის კომისიის სხდომათა საოქმო წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილიქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე.

სამსახურის საქმიანობა კოორდინირებულად ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად და სამსახურის წარმატებული საქმიანობისთვის ოფიციალურად მადლობა იქნა გამოცხადებული.

2014 წლის 1 აგვისტოდან, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საქმიანობის შიდა კონტროლის მიზნით გამგეობაში შეიქმნა შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და კანონიერება, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობის ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდა. სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და „ჰარმონიზაციის ცენტრთან“.

სამსახურის ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. 2015 წლისთვის შედგა სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც უზრუნველყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მიმდინარე და კომპლექსური კონტროლი.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ, 2015 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 7 არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, 2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 3 სამსახურში. ესენია:

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“, შპს „ხობის მოამბე“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“, ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური. გარდა აღნიშნული ფუნქციებისა, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მეშვეობით კონტროლდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში მოსამსახურეთა ქცევის წესები, დისციპლინა და კანონიერებისა და სამსახურებრივი მოვალეობების დაცვის საკითხები.

წინამდებარე ანგარიშში დეტალურად გაანალიზდა გამგეობის იმ სამსახურების საქმიანობა, რომელთა საქმიანობა უშუალოდ აისახება მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობაზე. რაც შეეხება შიდა სამსახურებრივ საქმიანობას და გამგეობის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მას ახორციელებს ადმინისტრაციული სამსახური, სადაც აღირიცხება და ფიქსირდება გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები თითოეულ მიმართულებაზე. ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს გამგეობის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ფუნქციაა გამგეობაში ერთიანი საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობას სამართლებრივი უზრუნველყოფა, გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, გამგეობის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან. წარმართული საქმი-

9

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

8

ანობის შედეგებით, ანგარიშში აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამსახურში აღრიცხულია გამგეობაში შემოსული და გამგეობაში შექმნილი კორესპონდენცია. საქმისწარმოების განყოფილებაში ასევე დაცულია საკადრო დოკუმენტაცია, რომლის განახლებასა და შევსებაზე პერიოდულად მიმდინარეობს მუშაობა.

ადმინისტრაციული სამსახურის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოცემულია ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 965 ბრძანება. სამსახურის მიერ, ან სამსახურის მონაწილეობით შექმნილია და საკრებულოს წარედგინა საკრებულოს დადგენილებების და განკარგულებების პროექტები. გარდა გამგეობის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფისა, ხშირი იყო მოქალაქეთა მომართვები. მათ ეძლეოდათ სათანადო განმარტებები და იურიდიული დახმარება.

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია და მიმდინარე წლის განმავლობაში სამ ეტაპად გამოცხადდა საჯარო კონკურსები გამგეობის მოხელეთა 99 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა დასანიშნად. პარალელურად, გამგეობის 35 მოხელეს ჩაუტარდა ატესტაცია, რომლის ფარგლებშიც გამგეობაში დასაქმებულთა მხრიდან მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოხელეთა სწავლებისა და გადამზადების საკითხს. „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების შესაბამისად მზადდება 2016 წლის სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გამგეობის მოსამსახურეთა დიდი ნაწილი აიმაღლებს კვალიფიკაციას.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გამგეობის საქმიანობის პროცესში მოსამსახურეთათვის სათანადო პირობების შექმნისათვის, რაც გამოიხატება როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით სათანადო აღჭურვისთვის მიმართული საქმიანობით, ასევე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვის ორგანიზებით. ამ მიმართულებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტი 6 სხვა მუნიციპალიტეტთან ერთად შერჩეულია საპილოტე მუნიციპალიტეტად, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის 12 ოქტომბრიდან გამგეობა საქმისწარმოების პროცესში გადავიდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე. განვლილ პერიოდში, ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვისათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არაერთი საორგანიზაციო საკითხი იქნა მოგვარებული, მათ შორის ძირითადი - ადმინისტრაციულ შენობაში დასრულდა სამსახურების ტექნიკური აღჭურვა და შენობის ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოქალაქეთა და დაინტერესებულ პირთა განცხადებების ელექტრონულად მიღებას და ოპტიმალურ ვადებში განხილვას. სათანადო მატერიალურ-ტექნიკური მზადყოფნის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები იქნა მიმართული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოქალაქეთა მისაღების მოწყობის, ადმინისტრაციულ შენობაში ქსელური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და მოსამსახურეთა კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვისთვის. მთელი წლის მანძილზე აქტიური კონსულტაციები და შეხვედრები მიმდინარეობდა სააგენტოსთან სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის, რის შემდგომაც ივლისში, აგვისტოსა და ოქტომბერში სააგენტოს მიერ განხორციელდა მოსამსახურეთა გადამზადება ელექტრონული ტექნოლოგიების ასათვისებლად. უახლოესი პერიოდისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება ექნება ახალი სერვისები შესთავაზოს მოსახლეობას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციას, ასევე მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხს.

ხიბულა-ნარაზენის გზა

წინამდებარე ანგარიშით აშკარად ჩანს ის პოზიტიური შედეგები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით არის მიღწეული და ასევე აშკარად იკვეთება მცდელობა შემდგომი ეტაპებისთვის უკეთესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად ყურადღება გამახვილდა პოზიტიურ შედეგებზე, ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან საქმიანობის პროცესში ხშირია ასევე შეფერხებები და ნაკლოვანებები, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად გვარდება, თუმცა გარკვეული ნაწილი ანალიზს საჭიროებს სათანადო რეაგირების გზების შესამუშავებლად.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას უკვე იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის 2015 წლამდე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.



შ.პ.ს. „შამათია“

დამეთანხმებით, ამ ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა და საზოგადოებასთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მოუწევს გადაწყვეტილებების მიღება და მის აღსასრულებლად ახლებურად მუშაობა.

გარდა დღევანდელ ანგარიშში ჩამოთვლილი საქმეებისა, მრავლად არის ისეთი საკითხები, რომელთა ნაწილი იდეის დონეზეა, ხოლო ნაწილის რეალიზებისთვის აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. მოკლედ მინდა ჩამოგითვალოთ ის პროექტები, რომლებიც განსახორციელებლად 2016 წლისთვის უკვე განსაზღვრულია:

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაგეგმილია კინოთეატრ „თუთარჩელას“ შენობაში მოეწყოს თანამედროვე სპორტული დარბაზი, რისთვისაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება 2,0–2,5 მილიონი ლარი. პირველ ეტაპზე 70,0 ათასი ლარის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სამუშაოები.

2. კულტურის სახლი რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება 500,0 ათასი ლარი. მოეწყობა ფოიე, წინა ხედი, კიბეები, კარ-ფანჯრები, დარბაზის სკამები;

3. განხორციელდება ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია–500,0 ათასი ლარით;

4. დაგეგმილია ქ. ხობის №1 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია - 600,0 ათასი ლარით;

5. დამატებით განხორციელდება ქ. ხობის ქუჩების რეაბილიტაცია - 600,0 ათასი ლარით;

6. მოწყობა და მოწესრიგდება ზემო ქვალონი–შუა ქვალონის წყალსადენი ქსელი–600,0 ათასი ლარით;

7. გაგრძელდება ქუჩების მოვლა-შენახვა–40,0 ათასი ლარის ფარგლებში;

8. გაგრძელდება მინი სტადიონების მოვლა-შენახვა–18,0 ათასი ლარის ფარგლებში;

უკვე დაგეგმილი ჩამოთვლილი სამუშაოების მოცულობა 5358,0 ათასი ლარის ფარგლებშია და ეტაპობრივად გაიზრდება შემუშავებული ახალი წინადადებების შესაბამისად.

განხორციელებული თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული, რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი.

გაწეული საქმიანობისა და თანადგომისთვის მუნიციპალიტეტის სახელით მსურს მადლობა გამოვუცხადო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახურის თითოეულ მოსამსახურეს, გამგებლის თითოეულ წარმომადგენელს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთელს შემადგენლობას, სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტის წევრებს ხობის მუნიციპალიტეტიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციას, ბიზნესმენს, მეწარმეს და თითოეულ რიგით მოქალაქეს.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

ედიშერ ჯოგავა–ხოგბის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო.

დღევანდელი ჩემი მოხსენება წარმოადგენს ანგარიშს მესამე მოწვევის საკრებულოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, რომლის მიზანია მოსახლეობას და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა სახის სამუშაოები იქნა გაწეული ჩვენს მიერ არჩევიდან ერთი წლის განმავლობაში.

2012 წლის 1 ოქტომბერს ქართულმა საზოგადოებამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მისცა სრული ნდობის მანდატი, რათა განახორციელოს ის საქმეები, რაც მათი საარჩევნო პროგრამით იყო გაწერილი, ამ დანაპირებს ცენტრალური ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს, ჩვენ კი ადგილობრივ დონეზე არ გვაქვს უფლება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას იმედები გავუცრუოთ, ამ არჩევანით ხომ საქართველოს მოქალაქეებმა მხარი დაუჭირეს ქვეყნის აღმშენებლობის კურსს. მინდა გითხრათ, რომ ამ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს საქმიანობა ამ უმთავრესი პრინციპით იყო ნაკარნახევი და თითოეული საკრებულოს წევრი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ვიღვწოდით მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის.

2014 წლის 15 ივნისს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნები, რომელიც ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ყველაზე დემოკრატიულად ჩატარდა და სწორედ ჩვენ გვერგო პატივი, ვყოფილიყავით ხალხის რჩეული. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ნდობა თითოეული ამომრჩევლის წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობის ისედაც მძიმე ტვირთს უფრო ამძიმებს.

2014 წლის მესამე მოწვევის საკრებულო დაკომპლექტებულია საკრებულოს 36 წევრით, რომელთაგან 15 არჩეულია პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო 21-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

პოლიტიკური წარმომადგენლობის შესაბამისად, მესამე მოწვევის საკრებულოში ჩამოყალიბდა 5 ფრაქცია. საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია:

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადებისთვის და ინიცირების წესით შემოსული პროექტების შესწავლისა და სათანადო დასკვნების მოსამზადებლად აქტიურ საქმიანობას ეწევიან საკრებულოს ზემოთ ჩამოთვლილი კომისიები.

თითოეული გადაწყვეტილების მიღებამდე ხდება ყოველი პროექტის თუ წინადადების დეტალური შესწავლა და დამუშავება, რაც საკრებულოს დებულებით განსაზღვრული პროცედურებით ხორციელდება. გარდა ჩამოთვლილი კომისიებისა, საკრებულოში შექმნილია ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელიც ახორციელებს საკმაოდ საპასუხისმგებლო ფუნქციას.

კომისიის სხდომებზე განიხილება შემოსული განცხადებები. საანგარიშო პერიოდში კომისიაში შევიდა 64 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 50 განმცხადებლის მოთხოვნა და გაცემულიქნა 47 საკუთრების უფლების აღიარების მოწმობა. ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში, შესაბამისად შემოვიდა 11790 ლარი.

საკრებულოს სხდომა საჯაროა. ყოველი სხდომის დანიშვნისას საკრებულოს აპარატის მიერ კეთდება შესაბამისი განცხადება სხდომის ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ. სხდომების შესახებ ინფორმაციები ქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ბიუროს მიერ შესწავლილ და განხილულიქნა 152 საკითხი, ხოლო 204 საკითხი იქნა შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რის შემდგომაც მიღებულია 72 ნორმატიული აქტი–დადგენილება, 132 ინდივიდუალური აქტი-განკარგულება, მოსმენილიქნა გამგეობის მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, საკრებულოზე პერიოდულად განიხილებოდა ინფორმაციები ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. ზემოაღნიშნული აქტებიდან განსხვავებული შინაარსის, მოსამზადებლად განსაკუთრებული მუშაობისა და შრომატევადობის, მარეგულირებელი ნორმების, წესებისა და პროცედურების განსაზღვრის მხრივ შეიძლება გამოიყოს შემდეგი დადგენილებები:

ა) ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ:

ბ) ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-სააატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

დ) ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ:

ვ) ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ;

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

თ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

ი) ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

საკრებულოს განკარგულებებიდან შეიძლება გამოიყოს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ:

გ) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირების რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

ე) „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

გარდა საკრებულოს მიერ მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი დადგენილებებისა, საკრებულოს მიერ ყოველ ექვს თვეში ხორციელდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

საკრებულოში შემოსულ ბიუჯეტის პროექტებს და ბიუჯეტის ანგარიშებს წინასწარ განიხილავს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია. საკრებულოს სხდომაზე საკითხის გატანამდე სხვა კომისიებთან და ბიუროსთან ერთად ფორმირდება შესაბამისი დასკვნები და წინადადებები. აქტიურ მუშაობად უნდა ჩაითვალოს, რომ მუდამ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური და ვრცელი დასკვნები ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

ბიუჯეტის განხილვისა და მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მისი წინასწარ გამოქვეყნება და საჯარო განხილვა, ვინაიდან ბიუჯეტი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო უკვე დამტკიცებული სახით უნდა მიეწოდებოდეს საზოგადოებას, არამედ იგი წინასწარ უნდა ეცნობოდეს პროექტს, რათა დასაწყისშივე იყოს მასში საზოგადოების ინტერესები და მოთხოვნები ასახული. ამ მიზნით 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი წინასწარ

11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთწლიანი მუშაობის ანგარიში

ედიშერ ჯოგავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

10

გამოქვეყნდა პრესაში და საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ამასთან საკრებულოს აპარატის მიერ უზრუნველყოფილიქნა მოსახლეობასთან შეხვედრა და ბიუჯეტის საჯარო განხილვაც. რადგან ვთვლით თვითმმართველობის საქმიანობაში საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება კიდევ უფრო მეტად გაგვიადვილებს ადგილობრივი ბიუჯეტით დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და მუნიციპალიტეტის რეალობისთვის აუცილებელი და განსახორციელებელი პროექტების განსაზღვრას. ამ კუთხით საკრებულოს კომისიების მიერ საკრებულოს თავმჯდომარისგან მიღებული დავალებების შესაბამისად, არაერთხელ იქნა შესწავლილი, დათვალიერებული და გაანალიზებული მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები. აღსანიშნავია ის პროექტები, რომლებიც როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტს დაფინანსებით ხორციელდება. ეკონომიკური მიმართულებით საკრებულოს საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კომისიების ადგილზე მუშაობით და შემოსული პროექტებისა და კორესპონდენციის განხილვით. საკრებულოს თანამდებობის პირებთან ერთად არაერთხელ მოეწყო გასვლები სხვადასხვა საკითხის შესასწავლად და კონტროლის განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ახალი მიდგომებითა და ინიციატივებით არაერთი პროგრამა იქნა განხორციელებული, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობას, შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის არ დარჩა დაუმუშავებელი მიწები.

სახელმწიფოს მიერ სერიოზულად იქნა მხარდაჭერილი არაერთი სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებში არაერთ ადამიანს გაეწია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება, გარდა ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პაკეტებისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც მოსახლეობის უმწეო კატეგორიაზე გაიცემა სოციალური დახმარებები. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს დახმარება გაუწიოს მოსახლეობას დასაქმების თვალსაზრისით, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ამ მიზნით ნოჯიხევის პროფესიული სასწავლებლის ყოფილი შენობა-ნაგებობა გადაეცა სსიპ პროფესიულ კოლეჯს „ფაზისი“, რომლის ბაზაზეც შექმნილ ფილიალში მომზადდებიან სერიოზული კადრები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნებია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.

საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან-გამგეობასთან. საკრებულოს და გამგეობის კოორდინირებული საქმიანობა მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულების ძირითადი საფუძველია. საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი გამგეობის მიერ არის ინიცირებული. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილება გამგეობის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები.

ყველა შემოსულ პროექტებზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილება კომისიების და ბიუროს მიერ.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული

უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე.

საკრებულოს მიერ უკვე განხორციელებული და განსახორციელებელი საქმეების მიმდინარეობისას, უაღრესი მნიშვნელობა აქვს არამარტო თითოეული მოხელისა თუ დაინტერესებული

პირის თანამონაწილეობას, არამედ საზოგადოების აქტიურ ჩართვას. ყოველი მიღებული გადაწყვეტილების უკან დიდი გარჯა და აზრთა ჭიდილი დგას.

მე წარმოგიდგინეთ მოკლე ინფორმაცია ჩვენი არჩევიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მსგავსი სახის ანგარიშით თითოეული საკრებულოს წევრი წარსდგა საკუთარ ამომრჩეველთან, ხოლო კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების ფარგლებში 2015 წლის ანგარიშს წარვუდგენთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მიუხედავად გაკეთებული საქმეებისა, ჩვენ არ ვეძლევით თვითკმაყოფილებას და მზად ვართ, მოვისმინოთ დასაბუთებული შენიშვნები, მივიღოთ ობიექტური კრიტიკა, გავითვალისწინოთ საქმიანი წინადადებები. დარწმუნებული ვართ ყოველივე ეს ხელს შეგვიწყობს, ჩვენი უმთავრესი მიზნის მიღწევაში - გავამართლოთ ხალხის ნდობა და ხობის მუნიციპალიტეტი გავხადოთ წარმატებული. ყოველივე ზემოთხსენებულის ეფექტურად განხორციელებისთვის უნდა გვახსოვდეს და გავითვალისწინოთ, რომ მთავარია ამ გაკეთებულ საქმეებთან ერთდ ცოტათი მაინც გადავხედოთ წარსულს და არ დაგვავიწყდეს ის უმთავრესი რამ, რაც ძალიან აწუხებდა ჩვენს საზოგადოებას.

მე მჯერა, რომ ჩვენი ხელისუფლება არასოდეს გააკეთებს იმას, რაზედაც 2012 წელს უარი თქვა ჩვენმა საზოგადოებამ. სწორედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადრე საკუთარი პოლიტიკური აზრის დაფიქსირების გამო ციხეში თუ არა, მინიმუმ სამსახურიდან ათავისუფლებდნენ.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი, დღეს ისევ იმ ძველი რეჟიმით იქნებოდა საქმიანობა წარმართული, იქნებოდა ისევ ის სიტუაცია, ისევ ის უსამართლობა, ისევ ის ზღაპრები, რომელსაც ჩვენ ძალიან ხშირად და ბევრჯერ ვისმენდით ტელევიზიით და არა მარტო ტელევიზიით. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ პოლიცია დაიჭერდა ადამიანს, მას სულ მცირე 0.01% ქონდა იმისა რომ სასამართლო მას გაამართლებდა.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჯარო სტრუქტურაში დასაქმებულები უბრალოდ ვალდებულნი იყვნენ რომ არჩევნებზე ყოფილიყვნენ მიბმულები და გაეკეთებინათ იმაზე მეტი, რაც მათ შეეძლოთ. ჩვენ ეს არავისთვის არ დაგვივალდებულებია. ყველა ადამიანმა, ყველა საჯარო მოხელემ თავისით გამოხატა ნება, რომ დახმარებოდა იმ გუნდს, რომელ გუნდსაც ქონდა წასამართი არჩევნები, თუნდაც გურიფულის თემში და ჩვენ ეს კარგად ვიცით. მეგობრებო, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ადამინებს სასკოლო წიგნების ყიდვა და ოპერაციის გაკეთებაც კი უჭირდათ, რომელიც დღეს არავის უკვირს.

ჩვენ ბევრი რამ შეიძლება დაგვავიწყდეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი, რომ ჩვენ დემოკრატიული ფასეულობებით უნდა წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალიტეტის ფარგლებში და ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ შემეხსენებინა, გუნდურობა წარმატების საფუძველია. როდესაც საქმე კეთდება, გაკეთებულ საქმეებს მომავალში გასაკეთებელი საქმეები დაემატება და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი დაპირებები ეტაპობრივად შესრულდება.

დიდი მადლობა!

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები

ხობის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სისტემების დაშრობილი ფართობი 26129 ჰა-ს შეადგენს, აქედან 11 600 ჰა.სფერული კვლებია. დაშრობილი ფართობების უმეტესი ნაწილი კი მეორად დაჭაობებას განიცდის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამელიორაციო სისტემების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ბოლო წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებამ შპს „საქართველოს მელიორაცია“ მასშტაბური სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა და ადგილობრივ ფერმერებს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალება მიეცათ.

პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში MD მაგისტრალურ არხზე მოხდა სატუმბი სადგურების №1 (6 ტუმბო) და №2 (3 ტუმბო) რეაბილიტაცია და აღნიშნული არხის (8350 გრძივი მეტრი) ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე ჭარბი ნალექების დროს სისტემატურად იტბორებოდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივებს ეს პრობლემა მოუგვარდებათ.

მიმდინარე წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: ნოჯიხევი, შუა ხორგა, ქვემო ქვალონი. მსგავსი ტიპის სამუშაოები უკვე დაიწყო ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში და დაგეგმილია ხამისქურისა და პირველი მაისის ტერიტორიულ ერთეულებშიც.

ფსიქოლოგიური და საექიმო შემოწმება „სასკოლო მზაობის ცენტრში“

ქ. ხობის № 1 საბავშვო ბაგა-ბაღის „სასკოლო მზაობის ცენტრის“ აღსაზრდელებმა გაიარეს ფსიქოლოგიური და საექიმო შემოწმება. საერთაშორისო ასოციაციამ „კივიტას გეორგიკა“ აღსაზრდელებისთვის უზრუნველყო ექიმ-პედიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურება (აღნიშნული ასოციაციის მხარდაჭერით და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით გაიხსნა სასკოლო მზაობის ჯგუფი). სპეციალისტები ადგილზე გაესაუბრნენ აღსაზრდელთა მშობლებს და მისცეს კვალიფიციური რჩევები.

შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის მკლავჭიდის ჯგუფის მოსწავლეებს შეხვდა.

მალაიზიაში გამართულ მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალოსანს გოჩა სიჭინავას, ბრინჯაოს პრიზიორს ანრი ბუკიას და მწვრთნელს კობა თუთბერიძეს საკრებულოს თავმჯდომარემ გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა მომავალ ასპარეზობებში.

„მწვანე მომავლის“ შეხვედრა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია - გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ასოციაცია „მწვანე მომავალის“ წარმომადგენლებმა მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრა გამართეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. მრგვალი მაგიდა ჩატარდა „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა, ერთობლივი დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით ენერგეტიკული პოლიტიკის გაუმჯობესების სფეროში, მდგრად ენერგო-ალტერნატივებზე ფოკუსირებით“ ფარგლებში. შეხვედრა მიზნად ისახავდა რეგიონის დონეზე გარემოსდაცვითი მმართველობის და განახლებადი ენერგიების გამოყენების კუთხით არსებული ხარვეზებისა და ბარიერების გამოვლენას. სამომავლო პერსპექტივების დასახვას. პროექტი დაფინანსებულია EU NGO პროექტის- „გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესება არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის გზით“ ფინანსური მხარდაჭერით; ამ უკანასკნელს კი საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის მოდელობითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. მრგვალ მაგიდას უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი განახლებადი ენერგიების საკითხებში ბატონი გიორგი მუხიგულიშვილი (საერთაშორისო გამოცდილება საქართველოსთვის-WEG წარმომადგენელი).

„ეტალონი-2016“ შესარჩევი ტური

ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ხობის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად, საქართველოს ეროვნული რეგიონული გასვლითი თამაშების ჩემპიონატი „ეტალონი-2016'' ჩატარდა. ინტელექტუალურ კონკურსში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 21 სკოლიდან წარმოდგენილმა მოსწავლეებმა. სოციალურ–საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ ავტორი და კონკურსის წამყვანია გოჩა ტყეშელაშვილი.

პროექტს ახორციელებს საქართველოს მთავრობა (რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. პროექტის მიზანია 2015-2016 სასწავლო წლის ეტალონი მოსწავლის გამოვლენა. ხობის მუნიციპალიტეტის 21 წარმატებული მოსწავლისგან ეტალონი მოსწავლის ტიტული ახალი ხიბულის საჯარო სკოლის მოსწავლემ ლევან ლაშხიამ მოიპოვა, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ საჩუქრად 100 ლარი გადასცა. პროექტის კულმინაცია იქნება საზეიმო ღონისძიება „ეტალონი - 2016“ ფინალური თამაში, რომელიც ჩატარდება თბილისში 2016 წლის 21 მაისს (შაბათს), 15.00 საათზე სპორტის სასახლეში. ფინალში მონაწილეობას მიიღებენ 82 ქალაქის, მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლეები“, რომელთა შორის გამოვლინდება საქართველოს 2015-2016 სასწავლო წლის „ეტალონი მოსწავლე“.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ულოცავს ლევან ლაშხიას ადგილობრივ ეტალონის კონკურსში გამარჯვებას და უსურვებს საქართველოს მასშტაბით „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულის მოპოვებას.

ერთობლივად ვზრუნავთ ჯანსაღი თაობების აღსაზრდელად

ნომრის სტუმარია **ნანა ლომაია**–სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისქურის საჯარო სკოლის დირექტორი.

ხამისქურის საჯარო სკოლა თავისი ტერიტორიული მოწყობით სოფლის სავიზიტო ბარათია. ამდენად სკოლის შემოგარენი საყვარელი ადგილია, არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთათვის, არამედ სოფლის ახალგაზრდებისთვისაც. ტერიტორიულ მოწყობას, რომელიც მოსწავლეს ეზოში შემოსვლისთანავე დადებითად განაწყობს სასწავლო პროცესისადმი, ჰარმონიულად ერწყმის სკოლის უსაფრთხო გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს თანამედროვე გამოწვევებსა და მოსწავლეთა ინტერესებზე მაქსიმალურად ორიენტირებული, მშვიდი, კომუნიკაბელური და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმით გამორჩეული პედაგოგიური კოლექტივი.

მოსწავლეთა აღზრდას ემსახურება 25 მასწავლებელი. მათი 44% ანუ 11 პედაგოგი აქტიურად არის ჩართული მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ 7 პედაგოგი (მარინე ქირია, მანელა ნაჭყებია, ნათელა გიგაშვილი, მანანა წოწორია, თამარ პერტია, ნანა ლომაია, მაია კვამპალიანი) სერთიფიცირებულია. აღვნიშნავ, რომ ქალბატონი მაია ორ საგანში: ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში არის სერთიფიცირებული. 4 პედაგოგს (ფევდოსია კვარაცხელიას, ფატმან ტყებუჩავას, ნანი ბარქაიას, თამარ ვეკუას) პროფესიულ უნარებში წარმატებით აქვთ ჩაბარებული გამოცდა. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა, ცხადია, მეტყველებს მასწავლებელთა პროფესიონალიზმზე. დავძენ, რომ პედაგოგიური კოლექტივი მიღწეულით თვითკმაყოფილებას როდი ეძლევა.. როგორც ცნობილია, მიმდინარე, სასწავლო წლიდან ყველა მოქმედი მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა გადამზადებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. გამომდინარე აქედან, სქემის ფარგლებში გათვალისწინებულ მასწავლებელთა კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობების განსახორციელებლად აქტიურად მოქმედებენ პედსაბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, იანვარში დაგეგმილი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის უკვე დარეგისტრირებულია დანარჩენ მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი და ვიმედოვნებთ, რომ კვლავაც წარმატებებს მივაღწევთ. თუმცა სკოლის წარმატება მხოლოდ მასწვლებელთა მიერ საკუთარი ცოდნის გამოცდაზე დაფიქსირებით როდი შემოიფარგლება. მათ კარგად აქვთ გააზრებული სახელმწიფო დაკვეთა–ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომლის შესაბამისად განათლების სისტემამ მოზარდს უნდა განუვითაროს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა, დაუმკვიდროს ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

ამ მიმართულებით სკოლის აქტიური მუშაობის შედეგი მოსწავლეთა მიღწევებზე წარმატებით არის ასახული.

2015 წლის CAT-ის გამოცადზე სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისქურის საჯარო სკოლის 7 კურსდამთავრებულთაგან ორი ოქროს მედალოსანი იყო, ორიც–ვერცხლის. ეროვნული გამოცდა სხვადასხვა უნივერსიტეტში წარმატებით ჩააბარა ხუთმა(თითქმის 70%-მა) კურსდამთავრებულმა. მათგან ერთმა 100%-იანი გრანტი მოიპოვა.

სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტში. გასულ სასწავლო წელს რესურსცენტრის მიერ ინიცირებულ საგნობრივ კონფერენციებზე მრავალნაირ ფორმატში ჩაერთო სკოლა და გვქონდა წარმატებებიც, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი მიღწევა ამ კონფერენციის სწორედ ის არის, რომ მან ხელი შეუწყო თითოეული ჩართული მასწავლებლის გააქტიურებას. მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი გვაქვს, მისი ანალოგი მოეწყოს სკოლის მასშტაბით.

წარმატებით მიმდინარეობს შიდასასკოლო ტრენინგების (ტრენინგებს ანხორციელებენ ფასილიტეტორებად შერჩეული ადგილობრივი კადრები: თამარ ვეკუა და ნანი ბარქაია). შედეგად მიღებული ცოდნის დანერგვა ხდება დაწყებით (I-VI) კლასებში გამოცდილი მასწავლებლების ფევდოსია კვარაცხელიას, მაყვალა ჩიტაიას, ნათელა დანელიას მიერ, რომელიც საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში ხორციელდება. ისინი თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ სკოლაში მოქმედ სხვა კათედრის მასწავლებლებს: ნარგიზა ცხომარიას, დოდო ჭანტურიას, ნათია გელოვანს, მაყვალა პაჭკორიას, თეა პერტიას.

სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს, მანელა ნაჭყებიას საგნის სწავლებისას დახმარებას უწევს ამერიკელი მოხალისე მაიკლ მელთზერი, რომელიც მშვიდობის კორპუსის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ქალბატონი მანელას ჩართვის შედეგად მოევლინა სკოლას. მათ მიერ ერთობლივი მუშაობის ნაყოფია, სკოლის მიერ მოპოვებული 1600 ლარიანი გრანტი, რომლითაც შეძენილიქნა კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი. აქვე აღვნიშნავ, ქალბატონი მანელა უცხოელ მოხალისესთან ერთად ხშრად გეგმავს საინტერესო აქტივობებს მოსწავლეთა უნარების გასავითარებლად, როგორიცაა: საზაფხულო ბანაკები, ინტეგრირებული და სამოდელო გაკვეთილები, არა მხოლოდ საკლასო ოთახში. მოსწავლეთა მოტივაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათ მიერ მუზეუმში ჩატარებულმა გაკვეთილმა.

მიმდინარე სასწავლო წელს დროებით დანიშნულიქნა ინგლისური ენის დამწყები მასწავლებელი მზია ჟვანია. მის გააქტიურებასა და განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებთან ზიარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ მანელას, რის შედეგადაც ახალბედა მასწავლებელი გაბედულად შეუდგა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვას და წელსვე დარეგისტრირდა სასერტიფიკაციო გამოცდაზე.

გამოვყოფ ბიოლოგიის მასწავლებელ მარინე ქირიას საქმისადმი დამოკიდებულებას. იგი სკოლაში არსებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსების ფარგლებში შესაძლებელ არც ერთ კონკურსსა თუ აქტივობას არ ტოვებს ყურადღების მიღმა. მის მოსწავლეებს შექმნილი აქვთ ეკოკლუბი, რომელიც ბევრ სასიკეთო აქტივობებს ახორციელებს ეკოლოგიური თვალსაზრისით. გამოვყოფ რამდენიმეს: გასულ სასწავლო წელს ეკოკლუბის წევრებმა რაიონული თვითმმართველობის მიერ ინიცირებულ კონფერენციაზე გაიტანეს საკითხი „ეკოლოგიური მდგომარეობა ჩემს სოფელში, პირველ ადგილზე რაიონის მასშტაბით გავიდა მე-12 კლასის მოსწავლე ხარიტონ გადელია. ასევე მან გაიმარჯვა ფოტოკონკურს „ფოტოსინთეზში“ და, როგორც წარმატებული მოსწავლე, მიწვეულიქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასაჯილდოებლად. სკოლის ეკოკლუბის წევრი შორენა წულაია აქტიურად ჩაერთო ნახატების კონკუსში თემაზე „თამბაქოს მავნებლობის შესახებ“.

ქალბატონი მარინე, მოსწავლეების თანამონაწილეობით, აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მიმდინარე წლის 4 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტში მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ გარემოსდაცვითი პროექტის, „ნახმარი წყლის მართვა და შავი ზღვის დაბინძურების შემცირება“, პრეზენტაციისას (პროექტი ინიცირებულიქნა ხამისქურის თემში დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციის “სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს“ მიერ) მარინე ქირიამ საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია წარადგინა თემაზე „ხამისქურის სასმელი წყლის კვლევა თემში“. პრეზენტაციას წინ უძღოდა მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობა.

მოსწავლეთა ლიტერატურულ კლუბს ხელმძღვანელობს გამოცდილი მასწავლებელი ქალბატონი ნარგიზა ცხომარია, რომელიც სკოლის მასშტაბით საინტერესო ლიტერატურულ საღამოებს აწყობს („მე ვკითხულობ გალაკტიონს“, „ანა კალანდაძის პოეზიის საღამო“, „ნორჩი შემოქმედები“,...)

17 ოქტომბრიდან 1-ლი ნოემბრის ჩათვლით ჩატარებულ საგნობრივ ოლიმპიადაში საშუალო საფეხურის ყველა საგნის მასწავლებელმა ჩართო მოსწავლეები, გვყავს წარმატებულნი.

მასწავლებლის მუშაობის სპეციფიკა ისეთია, რომ ნამდვილად წარმოუდგენელია წარმატებული ნაბიჯის გარეშე. ამდენად თითოეული მასწავლებლის მიღწევებზე საუბარი ვრცლად შეიძლება და ამ საქმეში ჩახედული ნებისმიერი ადამიანისთვის ეს არ იქნება არარეალური, მაგრამ ხამისქურის საჯარო სკოლის ყველაზე დიდი წარმატება კოლექტივის ერთსულოვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დასაქმებულია საქირიოსა და ხამისქურის საჯარო სკოლების შერწყმის შედეგად გაერთიანებული კოლექტივი. აქ თითოეული პედაგოგისა თუ მოსწავლის მიღწევა საკუთარ მიღწევად აღიქმება, რაც ურთიერთობისას კომფორტს უქმნის იმ სამკუთხედს, რომელსაც „სკოლა, ოჯახი და საზოგადოება“ ჰქვია, და, რომლებიც ერთობლივად ზრუნავენ ჯანსაღი თაობების აღსაზრდელად.

წარმატებული გზასავალი გისურვებთ!

მასწავლებლის ტიტანურ შრომაზე ბევრი დაწერილა, ბევრი თქმულა. აქა იქ შემორჩნენ ძველი თაობის მასწავლებლები, ისინი თანდათან შორდებიან საყვარელ საქმეს, სკოლას, რაც ძალზე დასანანია, მაგრამ რაოდენ გასახარია, რომ მოდის ახალი თაობა, ახალი სახეები, ახალი ენერგიითა და მონდომებით, ახალი ენთუზიაზმითა და შემართებით.

თაობა იცვლება... იზრდებიან და ყალიბდებიან ახალგაზრდა მასწავლებლები, წლების მატებასთან ერთად ხდება მათი დაოსტატება. სპეციალიზაცია...

ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი კარგი და კვალიფიცირებული ახალგაზრდა მასწავლებელია, მათ შორისაა ხობის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლა „არეას“ ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი თეა ბერაია–ჩაბალუხა.

თეამ სკოლა პირველ ხორგაში წარმატებით დაამთავრა, შემდეგ კი თბილისში–რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.

პირველი პედაგოგიური ნათლობა გურიფულის სკოლა-გიმნაზიაში მიიღო. მაშინდელმა დირექტორმა მერი აბრამიამ მასზე დიდი გავლენა იქონია და წარმატებულ პედაგოგად აქცია. შემდეგ კი პედაგოგიური მუშაობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ გამორჩეულ სკოლა „არეაში“ გააგრძელა და დღემდე იქ მოღვაწეობს, თანაც წარმატებულად. მოსწავლეები და მშობლები ძალზე ემადლიერებიან მონდომებულ, სკოლაზე და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებულ, კარგ მასწავლებელს. თავადაც ძალიან ბევრს მუშაობს. ბევრს კითხულობს, ყოველთვის ახლის ძიებაშია, ზრუნავს პროფესიულ დაოსტატებაზე, მხარს უბამს ყოველ ახალსა და ინოვაციურს.

...და განა მარტო სკოლა, თეამ ბავშვობიდანვე შეიყვარა მუსიკა, დაამთავრა ხობის მუსიკალური სკოლის შვიდწლედი, კარგად მღერის და უკრავს, ქსოვს, იცის თექაზე მუშაობა, გამორჩეულად ხატავს, ძერწავს. ასე, რომ ყოველმხრივ მისაბაძი ახალგაზრდა პედაგოგია და ყველაზე მისასალმებელია ის, რომ ყავს შესანიშნავი თბილი და მოკრძალებული ოჯახი. მეუღლე–არქიტექტორი გია ჩაბალუხა და ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგი–ისიც მშობლებივით გამორჩეულად ნიჭიერი, XII კლასელი, წარმატებული მოსწავლე, მუსიკალური შვიდწლედდამთავრებული, ფორტეპიანოსთან ერთად უკრავს გიტარაზე და მღერის, გიორგის მიღწევებზე წარმატებები ლაღადებენ...

მშვიდი, მოზომილი პიროვნება, კარგი დედა, მეუღლე, მასწავლებელი, დიასახლისი–ასე შემიძლია დავახასიათო ჩემი რესპოდენტი თეა ბერაია.

წარმატებები, მიღწევები და ახლახალი გამარჯვებები ყოფილიყოს თეა თქვენი ცხოვრების გზასავალი.

ნანი კილასონია.

სცენაზე მოღვაწე სასიმღერო ჯგუფების ისტორია

მრავალი ქვეყნის მეცნიერები მსჯელობენ ქართული-ხალხური მუსიკის ფენომენზე. ქართულ ხალხურ ვოკალურ შემოქმედებას მიეძღვნა გერმანულ, ინგლისურ, ესპანურ, პოლონურ და სხვა ენებზე შესრულებული უამრავი სამეცნიერო სტატია და ცალკეული გამოკვლევები, მონოგრაფიები. არცერთ დარგს არ შეუტანია ისეთი მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, როგორც ქართულ-ხალხურ სიმღერას. დიდია მისი როლი ეროვნული თვითმყოფადობის შენაჩუნების საქმეში. ქართული ხალხური ფოლკლორის შეხებისას საჭიროა, გავარკვიოთ რა არის ფოლკლორი. ამ საკითხს არა ერთი ავტორი შეხებია: გუსევი, ს. გრიცა, ვ. ნოვინჩუკი, მ. ბაუმანი და მათთან ერთად მინდა შემოგთავაზოთ ე.გარაყანიძისეული ხედვა სასცენო-სასიმღერო ფოლკლორის შესახებ.

* ფოლკლორი არაპროფესიული, ცხოვრებასთან და ყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული მხატვრული შემოქმედებაა, რომელიც იქმნება და ვითარდება მყარ სოციალურ-ეთნიკურ ჯგუფებში. არსებობს პირველადი (აუთენტური) სახეობების გამიჯვნა მეორეული, მათ შორის–ხაზგასმულად სცენური ფორმებისგან–ე.წ ფოლკლორიზმი. მეცნიერი ე. ალექსეევი საგანგებოდ სცენაზე შესრულებისთვის განკუთვნილ ფოლკლორს-ფოლკლორიზმის გამოვლინებად მიიჩნევს. მეორეული სასიმღერო ფოლკლორის ისტორია, მნიშვნელოვანწილად სცენაზე მოღვაწე სასიმღერო ჯგუფების ისტორიაა. სასიმღერო ფოლკლორის წარმოშობა საქართველოში სრულიად გარდაუვალი იყო. ასე, რომ ლადო აღნიაშვილის გუნდის მიერ დამკვიდრებულმა მხატვრულმა პრინციპებმა აშკარად დააჩქარა ეს პროცესი, რამე თუ მან „ევროპული ორიენტაცია“ აირჩია. ეს იმითაც დასტურდება, რომ ქართული ხოროს ხელმძღვანელობა მან პოლონელ ფელიქს პეტელიჩს შესთავაზა, როცა მისგან უარი მიიღო, ისევ ევროპელ ჩეხ იოსებ რატილს, ოპერის თეატრის მომღერალს სთხოვა სამსახური. ი. რატილმა კარგად შეისწავლა ქართული სასიმღერო ფოლკლორი, ამ მიზნით იგი ექსპედიციებს აწყობდა. მან გუნდისთვის საკმაოდ სოლიდური რეპერტუარი შექმნა, მაგრამ გუნდი მაინც ევროპულ ყაიდაზე მოაწყო. ქართულმა ხორომ 1892 წლამდე იარსება. რატილის შემდგომ მას ლოტბარობდნენ მელიტონ ბალანჩივაძე და ალექსანდრე ბერიძე. შემდეგი გუნდი მე-19 საუკუნის დასასრულს შეიქმნა. მისი ხელმძღვანელი გახდა სანდრო კავსაძე, რომელიც თვითონ მღეროდა იოსებ რატილთან, ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ თავის გუნდში მან რატილის პრინციპები და რეპერტუარი დაამკვიდრა. გუნდის რეპერტუარში მთლიანად ხალხური სიმღერები სრულდებოდა ისევე, როგორც მას ხალხი მღეროდა.

1887 წელს მეგრულ სოფელ კოკში თავის პირველ გუნდს ქმნის ძუკუ ლოლუა. 1898-1903 წწ. მას უკვე ფოთში ყავს გუნდი. 1904 წელს კი–სოხუმში. სადაც 1919 წლამდე აქტიურად მოღვაწეობს, ხშირად მართავს კონცერტებს დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებში. ვანო შალიკაძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში გამოთქვამს ვარაუდს–„ძუკუ ლოლუა, როგორც ჩანს, ნაკლებად განიცდის აღნიაშვილის გუნდის გავლენას ვიდრე ს.კავსაძე. ი. რატილის გუნდის გავლენა მხოლოდ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ეს საოცარი მუსიკოსი ძუკუ ლოლუა გუნდი საქმიანობამდე მიიყვანა. და ერთიც, ძუკუ ლოლუას შემოქმედების ნაყოფია სხვა კუთხეების სიმღერების მეგრულ ყაიდაზე, მეგრული ტექსტით ამღერება. ეს სიმღერების „მიორს ფაცხა“, „ხელხვავი“, „შავი შაშვი“, „ხასანბეგურა“. ქართულ-ხალხურ სიმღერის საკონცერტო ცხოვრებას ახალი ეტაპის დაწყება 1957 წელს ემთხვევა და უკავშირდება ჯანსუღ კახიძისეულ „შვიდკაცას“ ჩამოყალიბებას. ანსამბლი საგანგებოდ შეიქმნა სტუდენტთა და ახალგაზრდობის მოსკოვის მეექვსე ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. მისი პირველი გამოსვლა შედგა ფესტივალამდე 1957 წლის გაზაფხულზე რუსთაველის სახელობის თეატრში. მასში გაერთაინებული იყო 8 მომღერალი. კრიმანჭულის შემსრულებლად ოზურგეთიდან საგანგებოდ მოიწვიეს მიხეილ შავიშვილი, ანსამბლი ძირითადად ასრულებდა დასავლეთ საქართველოს სიმღერებს. კოლექტივი ცდილობდა ხალხური სიმღერისთვის დაებრუნებინა შესრულების მანერა და სხვადასხვა დიალექტის სიმღერებში შეენარჩუნებია კუთხური კოლორიტი. „შვიდკაცა“ მაღალ საშემსრულებლო ოსტატობით გამოირჩეოდა. მასებში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მიხეილ შავიშვილი, ვანო მაჭავარიანი, მამია ხატელიშვილი, ჯანსუღ კახიძე. მათ მიერ შერულებული სიმღერები დღემდე სანიმუშოდ რჩება. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, იქმნება მსგავსი ანსამბლები. ამ თვალსაზრისით „შვიდკაცას“ პირველი მემკვიდრე „გორდელა“ იყო, რომელიც 1960-1961 წწ. ჩამოყალიბდა. ანსამბლის წევრები თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები იყვნენ. წევრთა უმრავლესობა თბილისში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყო ჩამოსული. თითოეულში ღრმად იყო გამჯდარი დიალექტის საშემსრულებლო მანერა. „გორდელა“ გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით, შესრულების აკადემიურობით. „შვიდკაცასთან“ შედარებით უფრო ფართოდ წარმოჩინდა ქართლ-კახური სიმღერები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „გორდელამ“ ქართული საგალობლების აღორძინებაში. შეიძლება ითქვას, მანამდე ამგვარი ყურადღება საგალობლებისადმი არავის გამოუჩენია. იმ პერიოდში საეკლესიო მუსიკის შესრულება სცენაზე აკრძალული იყო. ანსამბლმა მნიშვნელოვანი რისკის ფასად ეს მაინც გააკეთა, რითაც უდიდესი პროპაგანდა გაუწია ქართულ სასულიერო მუსიკას. „გორდელა“ უშუალოდ „შვიდკაცას“ შემდეგ შეიქმნა, ამიტომ ნებსით თუ უნებლიედ იგი თავისი წინა მორბედის ნიშნებსაც იმეორებდა. ამასთანავე ამ ორ ანსამბლს შორის არსებობდა გარკვეული სხვაობაც, რამე თუ „გორდელამ“ თავისი რეპერტუარით ქართული სასიმღერო დიალექტების უფრო ფართო სპექტრი მოიცვა. მათ შესრულებაში იგრძნობოდა ხალხური ტონური სისტემის ზუსტად გადმოცემისადმი ლტოლვა. აღსანიშნავია „გორდელასეული“ ინტერპრეტაციით მრავალი ნიმუშები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

60-იანი წლების დასასრულს ჩამოყალიბდა ანსამბლი „რუსთავი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ანზორ ეროქმაიშვილი. პრინციპული სხვაობა ამ ორ ანსამბლს შორის ფაქტობრივად არ არსებობდა. თითქმის იგივე იყო წევრთა რაოდენობა, უმრავლესობას მუსიკალური განათლება თბილისის კონსერვატორიაში ჰქონდა მიღებული. „რუსთავმა“ უშუალოდ გაგრძელა გორდელას ხაზი–სვლა აკადემიურობისკენ და საბოლოოდ სახელმწიფო ანსამბლად ჩამოყალიბდა. შემოქმედებითი იერით „რუსთავი“ ყველაზე ახლოს ადრეულ „გორდელასთან“ დგას და ამავე დროს გარკვეული სხვაობაც არსებობს. უპირველს ყოვლისა „რუსთავს“ იმთავითვე ჰყავდა ერთპიროვნული ხელმძღვანელი, აგრეთვე

რუსთავის ვოკალური ჯგუფის გაერთიანება ქორეოგრაფიულ და ინსტრუმენალურ ანსამბლთან. საკონცერტო მოღვაწეობა შეუდარებლად უფრო მეტი აქტივობით გამოირჩევა. ის მრავალი ქვეყნის აუდიტორიის წინაშე წარსდგა. ასევე რეპერტუარის უდიდესი ნაწილი გრამფირფიტებზე აღიბეჭდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1981-1989 წწ. გამოცემული ფირფიტების კომპლექსი „სამოცი ქართული სიმღერა“ და „ასი ქართული სიმღერა“. არც ერთ მომღერალს არ ჰყოლია იმდენი მიმდევარი და მიმბაძველი რამდენიც ჰამლეტ გონაშვილს. „გუშინ შვიდნი გურჯანელის“, „ჩელას“, „გაფრინდი შავო მერცხალოს“ და მრავალი სიმღერის ხსენებისას, მუსიკის მოყვარულთა უმრავლესობას სწორედ გონაშვილისეული შესრულება წარმოუდგება. ასევე დიდოსტატ მომღერალთა რიცხვს მიეკუთვნება რამინ მიქაბერიძეც, რომელიც თანაბარი ოსტატობით ასრულებს ქართლ-კახურ და გურულ სიმღერებს. ბატონი ანზორ ერქომაიშვილის ოსტატობა, როგორც გურული სიმღერების ბანის დიდებული შემსრულებლისა. და ერთიც, „რუსთავი“ „გორდელაზე“ უფრო დღეგრძელი აღმოჩნდა. იგი დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას.

ხობის ფესტივალის ერთ-ერთ ორგანიზატორს ბატონ ანზორ ერქომაიშვილს წელს ხობის ფესტივალის დღეებში ქართული სიმღერის, კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილსთვის კულტურის სამინისტროს ჯილდო „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა.

მუზეუმის დიდ მეგობარს, „ძუკუ ლოლუას ქართული-ხალხური სიმღერის მუზეუმის“ ერთ-ერთ ფუძემდებელს ბატონ ანზორ ერქომაშვილს ვუსურვებთ დღეგრძელობას და ჯანის სიმრთელეს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვილილი ანსამბლებისა თუ ფოლკლორისტიკასთან დაკავშირებული მასალები, რომელიც შესწავლილია ფოლკლორისტებისა და მუსიკათმცოდნეების მიერ, ინახება და დავანებულია „ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული-ხალხური სიმღერის მუზეუმში“, რაც დიდად დასაფასებელია, რამეთუ ეს საგანძური სახალხოა.

ნანა ჯალაღონია,
ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული-ხალხური სიმღერის მუზეუმის დირექტორი.

აკაკი ნაროუშვილი

„მე მიჭირს თქვენგან განშორება,
თორემ სიკვდილი?!
სიკვდილი რაა, სულის გაყრა
ცოდვილ სხეულთან!..“

ალბათ ასე ფიქრობდა, როცა უკვე დაუძლურებული გრძნობდა, რომ ამქვეყნად დიდი დრო აღარ რჩებოდა.

ატა–ასე ვეძახდით აკაკი ბაბუს. მას საკუთარი შვილი და შვილიშვილები არ ჰყავდა, მაგრამ ჩვენ მისი დისშვილიშვილები ძალიან ვუყვარდით, ჩვენზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, მისგან რამდენი სიკეთე და სიყვარული გვახსოვს.

მუხლჩაუმდგარი შრომის პარალელურად, წიგნი ხელიდან არასოდეს გაუშვია. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი მედლისა და ჯილდოს მფლობელი იყო. გვმოძღვრავდა, ჭკუას გვარიგებდა. მასთან დიალოგი საქართველოს ისტორიითა და სამშობლოს სიყვარულით იწყებოდა და მთავრდებოდა. ყოველთვის გვიმეორებდა ერთი და იგივეს „არასოდეს დაგავიწყდეთ ვისი გორისა ხართ,“ პატიოსნად იშრომეთ, ისწავლეთ და ქვეყანას გამოადექითო. ჩვენ არც ისე პატარები ვართ, ყველაფერი კარგად გვახსოვს და არასოდეს დავივიწყებთ მის ამაგს.

ერთი წელი გავიდა უშენოდ ატა ბაბუ, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, გვენატრება თქვენი საუბარი, არასოდეს დაგივიწყებთ, ამოვალთ ხოლმე შენს საფლავთან, სანთლებს დავანთებთ და უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ალალი, მართალი და წმიდა სული.

ირინა, ანი, ანრი ბერაიები.

კარლო ჯოგავა

ძალიან ძნელია წერო საყვარელ, გარდაცვლილ მეუღლეზე. მიჭირს, მაგრამ უთქმელობას, მაინც შენთვის ორიოდე სიტყვის თქმა ვამჯობინე. დუმილი ვერ შევძელი, შენმა მონატრებამ დაარღვია ჩემი სიჩუმე, რაც დრო გადის უფრო მიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ–მზრუნველი, თბილი, მოსიყვარულე, ოჯახის საიმედო კაცი, შესანიშნავი მამა. ასე მგონია, შენი გარდაცვალების შემდეგ დრო გაჩერდა. ყველაფერმა დაკარგა ფერი... უბრალოდ, განვაგრძობ და მივყვები ცხოვრების დინებას... თუმცა არის მოვალეობა, რაც მაძლებინებს. ეს ჩვენი შვილებია სოფო და გიორგი. რომელთაც ჩემი მზრუნველობა და ყურადღება ჯერ კიდევ სჭირდებათ.

7 ნოემბერს, შენს დაბადების დღეს, პირველად შევხვდით უშენოდ ჩემო ძვირფასო ადამიანო.

თავს მოვალედ ვთვლი შენი მიწიერი ხსოვნისთვის გავიხარჯო. შენს საფლავს მოვუარო ჩემო კარგო მეგობარო, იმ მიწას მივესათუთო, რომელიც გულზე გაყრია. ხშირად მეტყვიან, მეუღლე ბევრს გარდაეცვალა, როგორმე უნდა შეეგუოო. ჩვენი სიყვარული, ხომ „როგორმე შესაგუებელი“ არ იყო, ჰოდა, არც შენი სიკვდილია ჩემთვის შესაგუებელი, ჩვენი სიყვარული წმინდა, მარადიულ გრძნობასთანაა ნაზიარები. შენს გვერდით გატარებული წლები ჩემთვის ძვირფასია და თავს არ ვზოგავ, როგორმე დავაფასო ის ამაგი, ის დიდი სიყვარული, რომელიც საუბედუროდ ჩემი ცხოვრების ისტორიის ნაწილად იქცა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს. შენთვის, მთელი ჩვენი ოჯახისთვის ყველაზე საყვარელ დღესასწაულს.

უფალს შევთხოვთ, გაგინათოს სასუფეველი.

მარად შენი ერთგული

მარინა, შვილები სოფო და გიორგი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები უთანაგრძნობენ საკრებულოს თავმჯდომარეს ედიშერ ჯობავას ბიძის

ზურაბ ფაჩულიას

გარდაცვალების გამო.



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები უთანაგრძნობენ საკრებულოს წევრს შადიმან ჭილაიას მამის

ლერი ჭილაიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები უთანაგრძნობენ საკრებულოს თავმჯდომარეს ედიშერ ჯობავას ბიძის

ლერი ჭილაიას

გარდაცვალების გამო.

სულთათანა

ლერი ჭილაია



ლერი ჭილაიას ოჯახში გლოვის დღეებია. ეს დღეები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე, მართლაც რომ დიდი გადასახედია. ლერის მართლაც, რომ უკან მოხედვის არ შეშინებია, ის თავისი გავლილი ცხოვრებით, ღირსეული წარსულით ზეციურ საქართველოში ვალმოხდილი და პირმართალი წავიდა.

ხშირად ამბობენ, პატიოსანი კაცი სანთლით საძებარიაო. ერთ-ერთი ასეთი კაცი ალბათ ლერი იყო, რადგან მთელ მის ცხოვრებას ამშვენებდა ღირებულებები, რომელსაც პატიოსნება, თავმდაბლობა, მოყვასისადმი სიყვარული და სიკეთის კეთება ჰქვია.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გამოსცადა უდიდესი ტრაგედია, მისი ნაბოლარა შვილი, მამუკა, საგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა. მახსოვს ეს ამბავი არა მარტო მისი ოჯახის უდიდესი მწუხარების საგანი გახდა, არამედ მას მთელი სოფელი, მთელი სანათესაო განიცდიდა. ყველანი ამოუდგნენ ოჯახს, რომლის მწუხარებაც უზადოდ დიდი იყო.

ხშირად მინახავს ღამით თუ როგორ მოჰყავდათ მეზობლებს ლერი და ლუარა სასაფლაოდან, სადაც ისინი ათენებდნენ და აღამებდნენ.

გავიდა დრო, შვილის დაკარგვით მიყენებული ტკივილები გულის შორეულ კუთხეში დამალა, რადგან ორ უნიჭიერეს შვილს ლამზირასა და შადიმანს უნდა ესწავლათ. თვითონაც უაღრესად ნიჭიერსა და ნაკითხს, კარგად ესმოდა სწავლის ფასი, ამიტომაც დიდი შრომისა და გარჯის ფასად უმაღლესი განათლება მიაღებინა მათ.

ლერი ჭილაია სტუმარმასპინძლობის განსახიერება გახლდათ. უყვარდა სამეზობლო, სანათესაო, მშვენიერ ოჯახში ყველას გულუხვად მიმღებ-მასპინძელი, მუდამ მხარში ედგა გაჭირვებულ ადამიანებს, მატებდა მათ მხნეობასა და იმედებს.

დაუწერელი კანონია, კაცის სახელი მის მიერ სიცოცხლეში დათესილი სიკეთით უნდა გაზომოო და თუ ეს ასეა, ლერის მიერ ქმნილი სიკეთის აწონვა შეუძლებელია. იგი, კეთილი გულის, სხვის სატკივარზე წამლად დადებული კაცი იყო.

უყვარდა თავისი პროფესია, ადამიანები, რომლებთანაც ერთად უმუშავნია, იცოდა მეგობრების, თანამშრომლების ავ-კარგი. იყო სანდო და უღალატო მეგობარი, კიდევ ერთი რამ გამოარჩევდა სხვებთაგან–იგი იყო არაჩვეულებრივად პეწიანი, მოწესრიგებული და სისუფთავის მოყვარული.

სწორედ ამ შესისხლხორცებული თვისებების შენარჩუნება ვერ შეძლო ბოლო პერიოდში, ავადმყოფობა ხელს უშლიდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც ნამდვილად იყო... ამან აიძულა გადაედგა ნაბიჯი, რითაც თქვა, რომ სხვანაირად ცხოვრება მას არ შეეძლო.

ლერი ჭილაიამ, თუმცა ბოლომდე ვერ გალია წუთისოფლის მოკლე გზა, მან მაინც მოასწრო თავისებური სახელის დატოვება–კარგი და ერთგული მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა, მეგობარი, ახლობელი, რომლითაც ყველას დააკლდა მისი ყურადღება და თბილი ღიმილი.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ვალმოხდილი სული მარად დაუვიწყარო და უკვდავებაში გადასულო ადამიანო!

მანანა შულაია.

ჩემი რეზო თოდუა

(დაგვიანებული მოლოცვა)

ადამიანს ადრეულ ასაკში ნანახი და განცდილი, კარგიც თუ ცუდიც მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაზე მეტად ამახსოვრდება.

ალბათ, პირველ კლასში ვიყავი, როცა სცენაზე პირველად ვნახე რეზო თოდუა. დღემდე თვალწინ მიდგას მის მიერ საოცარი არტისტიზმით შესრულებული კომიკური როლები. ჩემს თაობას (უფროს თაობას ალბათ უფრო მეტად) ახსოვს აგიტ-მხატვრული ბრიგადის არსებობა, რომლებიც კონცერტებს (ალბათ დავალებაც იყო) სკოლებში, სოფლის კლუბებში, ზოგჯერ ღია ცის ქვეშ მართავდნენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს, სამწუხაროდ, თითქმის ცოცხლები აღარ არიან აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები იყვნენ რადიკო ალანია, ტუჩი მირცხულავა, საშურა ჯალაღონია, გოგი მირცხულავა, მიშა შურღაია (თუ ვინმე გამომრჩა მომიტევოს მათმა სულებმა). რეპერტუარში ჰქონდათ სიმღერები, სკეტჩები, პაროდიები და, რაც მთავარია, საოცარი იუმორი. უფულონი მაგრამ–ნაღდი ხობელი კოლორიტები. მათ შორის იყო ჩვენი რეზო თოდუა.

მაშინ ბავშვებს გვიკვირდა საიდან ჰქონდა ამ „კვანჭალია“ კაცს ასეთი ბუბუნა ხმა. მახსოვს რეზოს მიერ შესრულებული როლი სპექტაკლში „ძალად ექიმი“, იყო სიცილ-ხარხარი–საოცარი შესრულების გამო.

ბედმა მარგუნა ბოლო პერიოდი ვხელმძღვანელობდე კულტურის სამსახურს. თითქმის ყოველ დღე მიხდება ურთიერთობა ჩემს რეზისთან (ხანდახან ასე ვეძახი მოფერებით). არ მახსოვს ამ ხუთი წლის განმავლობაში მას ჩემთვის სახელით მოემართოს. ფორმა მისალმებისა ყოველ დილით ასეთი აქვს: „ბატონო დირექტორო ან ჩემი კოსმანის შვილი“.

საოცარი სიყვარულის და სითბოს მატარებელია ჩემი რეზი. დღესაც, მიუხედავად ასაკისა, ერთგულად ემსახურება თავის პროფესიულ საქმიანობას. არის ანსამბლ „კოლხეთის“ ყველაზე უხუცესი მსახიობი, წევრი (ანსამბლ „კოლხეთზე“ ცალკე მექნება საუბარი). მას ჯილდოები და რეგალიები არ აკლია, მაგრამ ყველაზე გამორჩეული, როგორც თავად ამბობს, მისთვის მაინც ხობის „საპატიო მოქალაქეობის“ საპატიო წოდება არის, რომელიც „ცოტნეობის“ დღესასწულზე მიანიჭეს.

ვულოცავ ბატონ რეზოს ამ მართლაც დამსახურებულ და საპატიო წოდებას!

...და დადის ხობში კაცი, რომელიც ყველას უყვარს....

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!

ბეჭან ნადარაია.

გვეამაყები, რატი!

მადლობა

რატი ლატარიას

2015 წლის 13 ივნისის სალიკვიდაციო სამუშაოში

განსაკუთრებული ჩართულობისთვის

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

არსებობს ტკივილი, რომლის განელება მხოლოდ დროს შეუძლია... 2015 წლის 13 ივნისს თავსდამტყდარ სტიქიურ უბედურებას ქართველი საზოგადოება, ალბათ, ვერასდროს დაივიწყებს... საქართველოს დედაქალაქში მომხდარ ტრაგედიას სხვებთან ერთად ხობელი დების ლიზი და ინდირა ზარანდიების სიცოცხლე შეეწირა... გავიდა დრო და უსაშველო ტკივილთან ერთად დიდი სიამაყეც გაგვიჩნდა თორსელებს. სიამაყე ჭირთათმენის, თანადგომის, ურთიერთსიყვარულის და სხვისი ჭირის საკუთრად ქცევის გამო... ვიცით, რომ სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ახალგაზრდების (და არა მარტო) დიდი ნაწილი იღებდა მონაწილეობას.

ამასწინათ თორსაში საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმოწერილი მადლობის ბარათი მიიღეს. მისი ადრესატი რატი ემზარის ძე ლატარიაა, რომელიც ქ. თბილისში სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადის და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში. მან მადლობა განსაკუთრებული წვლილისთვის დაიმსახურა.

რატი ლატარიამ თორსის საჯარო სკოლა დაამთავრა, იგი გამორჩეული იყო ერთგულებით, მებრძოლი სულით.

მადლობა მათ მშობლებს–თეა და ემზარ ლატარიებს ასეთი შვილის აღზრდისათვის.

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს მრავალჭირნახულ საქართველოს ქვეყნისა და მოყვასისთვის თავდადებული ახალგაზრდები.

გვეამაყები, რატი!

გიგლა ლუკავა,

თორსის ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტი.

სკოლამდელ დაწესებულებაში

„მხოლოდ ცა არის უბერებელი“

შემოდგომა–ზამთრის გასაყარზე, ერთი „ოქროსფერი“ დღე შეარჩიეს ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა და წელიწადის დროთა სეზონში, თავისი სიმდიდრით

გამორჩელი დროის–შემოდგომის სადიდებელი თქვეს.

მაინც რა არის შემოდგომა? იკითხეს პატარებმა და 30 წუთიანი მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიციით კითხვას თავადვე გასცეს პასუხი.

დამსწრეთ ჯერ კმაყოფილება დაეტყოთ სახეზე, მერე ღიმილი მოეძალათ, ბოლოს სიცილმა იფეთქა. ასაკის შესატყვისად და გემოვნებით შექმნილმა სცენარმა, პატარების მონდომებამ და სურვილმა ღონისძიება უზადო გახადა.

ზეიმზე ისმოდა „ცხელცხელი“ ლექსები, ცეკვავდნენ, მღეროდნენ პატარები. საბა, ლიზი, ანდრია, გიგა, დავითი, ნინო და სხვები.

განსაკუთრებით გახარებული მშობლები იყვნენ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წელსაც გარემონტდა ბაღის შენობა, მოწესრიგდა სველი წერტილები.

ყვავილთა ჭკნობის, ფრინველთა გადახიზვნის და ზამთრის მოლოდინის გამო, ბუნების იდუმალი და მარადიული ცვალებადობის იმედით, გაბრწყინდა მოზეიმეთა სახეები. პაწაწინა ხელებით თათარაში ავლებდნენ ჩურჩხელებს და სიცილ-ხარხარით თვალებში შეჰ ყურებდნენ აღმზრდელ-მასწავლებელ მზია გადელიას, რომელსაც მზე და მთვარე ამოსდის პატარებზე.

ღონისძიების ჩატარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მუსიკის მასწავლებელმა მანანა თათარიშვილმა. ის ნამდვილად შექების ღირსია და მშობლებისგანაც ღირსეულად დაიმსახურა მადლობა. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს აღმზრდელის თანაშემწის გულისა წოწონავას და მზარეულის ლალი ახალაიას ღვაწლი პატარების აღზრდაში.

„ვინც სათნოებას თესავს, სიკეთეს იმკის“,–ამბობს ლეონარდო და ვინჩი, იმაზე მეტი სიკეთე და სათნოება რა შეიძლება იყოს, რასაც ქალბატონი მაია ცქირია (ბაღის სპეციალისტი) და მისი კოლექტივი აღსაზრდელებისთვის აკეთებენ. დიდება ის არის, მისი დაფრთიანებული რამდენიმე თაობა სიყვარულითა და მადლიერებით რომ არის აღვსილი.

ქალბატონო მაია, წარმატებები გქონოდეთ, ამ კეთილშობილურ საქმეში, რომელიც აღსაზრდელების, მშობლების, კოლეგების მადლიერებასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

და ბოლოს, „მხოლოდ ცა არის უბერებელი“ გაჟღერდა მხნედ და მრავალჯერ დედაბუნების განახლება-გამოღვიძების მოწმეს გაგვხდის და ბევრ სიხარულს გვაჩუქებს.

ნაირა ბერაია.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:

თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.